ახალი განათლება

2013 წელი, 17 - 23 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№30 (624) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სტუმარი

აფხაზ მთავართა სათავეებიდან ომისშემდგომ თაობამდე

რუბრიკის სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე

„დღევანდელი აფხაზი სტუდენტები ომის შემდგომი თაობაა. მათ არა აქვთ ქართველებთან თანაცხოვრების გამოცდილება და მიაჩნიათ, რომ ცხოვრობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ზოგჯერ მეკითხებიან საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე... ერთმა სტუდენტმა სურვილი გამოთქვა, რომ სიამოვნებით გაეცნობოდა „ქართლის ცხოვრებას“.

გვერდი 4-5

მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თვალი



ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წიგნში ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი – 4 ლარი.



„რადგანაც თქვენ ვერ ხედავთ ბავშვთა მიმართ ძალადობას, ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს, დაინახე უხილავი. დაგვეხმარეთ ერთად დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა. შემოგვიერთდით, ამოიღეთ ხმა.“

ლიამ ნისონი

გვერდი 2-3

„დაინახე უხილავი. დაგვეხმარეთ ერთად

მოამზადა
ლალი ჯელაძემ

ბავშვთა მიმართ ძალადობა 21-ე საუკუნეშიც აქტუალურ თემად რჩება. ჩვენმა ქვეყანამ, ბოლო წლებში, პირველი ნაბიჯები გადადგა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად. 2007 წელს ჩატარდა ეროვნული კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ საქართველოში სხვადასხვა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განცდილი აქვს ბიჭების და გოგონების 80 პროცენტს. ამ შედეგებზე რეაგირებისა და საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის განვითარების მიზნით, 2010 წელს, მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის და რეფერირების შესახებ. ბრძანების გამოცემის შემდეგ ორი წელი გავიდა, რეფერირებული მიმართვიანობის რაოდენობა მცირედით გაიზარდა – 40-დან 150-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა ეს სტატისტიკა ნამდვილად არ ასახავს რეალობას. ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის მუშაობის გაანალიზების მიზნით, 2012 - 2013 წლებში, იუნისეფმა ორი კვლევა ჩაატარა – ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები. ეს არის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული კვლევა, გაერთიანებული ერთ პუბლიკაციად, სადაც ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები სხვადასხვა კუთხითაა გაანალიზებული.

გაეროს ბავშვთა ფონდმა კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ჩაატარა და საზოგადოებას 11 ოქტომბერს წარუდგინა.

საშა გრაუმანი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში: *„ძალადობა ყველგან არის, ყველა ქვეყანაში და საზოგადოების ყველა ფენაში, მაგრამ ძალიან ხშირად, ბავშვთა მიმართ ძალადობა შეუმჩნეველია, რადგან ხდება სახლში, ოჯახში, ხალხისგან დაფარულად. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების გაძლიერების მიზნით, იუნისეფი თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასა და USAID-თან. მაგრამ იმისთვის, რომ ამ ინსტიტუციურმა მექანიზმმა სათანადოდ იმუშაოს, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველამ ვიაქტიუროთ და ამოვიღოთ ხმა, როდესაც ვხედავთ ძალადობას.*

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს და მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისთვის საოცნებო, წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად, ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშელახული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ.

მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი, გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში.

კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს; კარგად გამოჩნდა ამ სისტემის ხარვეზები და მათი გამოსწორების გზებიც დაისახა. დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მალე ყოველივე გათვალისწინებული იქნება და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, აქტიური პარტნიორი და მხარდამჭერი იქნება გაეროს ბავშვთა ფონდი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ძალადობის მიმართ რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულება. ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა არ შეაქციონ ზურგი ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს სამეზობლოში, სანათესაოსა თუ ქუჩაში. ბავშვებს უჭირთ საკუთარი უფლებების დაცვა და სჭირდებათ გვერდში მდგომი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული, ზრდასრული პიროვნება, რომელიც თავს მოვალედ ჩათვლის, დაიცვას ბავშვის უფლებები.“

„ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ“ აღწერს საქართველოს ფართო საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ ცოდნას, დამოკიდებულებას, ქცევასა და პრაქტიკას. რაოდენობრივი კვლევისათვის, საქართველოს მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, გამოიკითხა 3284 ოჯახი და 61 პროფესიონალი, მათ შორის სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და მანდატურები (სულ 3345 კითხვარი შეივსო). ამასთანავე, ახალგაზრდების შეხედულებების გათვალისწინების მიზნით, თბილისში, ქუთაისსა (დასავლეთ საქართველო) და თელავში (აღმოსავლეთ საქართველო) ჩატარდა ჯგუფური დისკუსიები ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ანალიზი“ თვისობრივი კვლევაა, რომელიც პროფესიონალთა ფოკუს ჯგუფებში (სულ 14 ჯგუფი) ჩატარდა და მოიცავდა ჩაღრმავებულ ინტერვიუებს სახალხო დამცველის აპარატის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

„ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ“ ასახავს საქართველოს საზოგადოების ცოდნას ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ და შემდეგ აანალიზებს ფართო საზოგადოებაში არსებულ გამოცდილებას, დამოკიდებულებას და ძალადობის სხვადასხვა ფორმების აღქმას, დაწყებული ფიზიკური ძალადობით/სასჯელით. ანგარიშში ასევე განხილულია დამოკიდებულება სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და უგულებელყოფის მიმართ და შესწავლილია, რამდენად მომთმენია საზოგადოება ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ. ანალიზი აგრეთვე აფასებს, თუ როგორია იმის ალბათობა, რომ ადამიანები შეატყობინებენ (და რა გარემოებებში შეიძლება შეატყობინონ) შესაბამის ორგანოებს ძალადობის შემთხვევების შესახებ.

კვლევის თანახმად, საზოგადოების 45 პროცენტს მიაჩნია, რომ ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დასაშვებია, ხოლო რესპონდენტთა 60 პროცენტი, მამაკაციც და ქალიც, მიიჩნევს, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები.

კვლევამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 94 პროცენტს ესმის, რაოდენ საზიანოა ბავშვისთვის, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრე ხდება, უმრავლესობა (70%) თავშეკავებით ეკიდება იდეას, რომ „უფლებამოსილი ორგანოები“ ოჯახის საქმეებში ერეოდნენ. უფრო მეტიც, ჩანს, რომ ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების, მანდატურებისა და სოციალური მუშაკების) 60 პროცენტი ეთანხმება საზოგადოების აზრს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და გარეშე პირები არ უნდა ერეოდნენ.

მიუხედავად ამისა, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების და სხვადასხვა პროფესიონალთა როლის შესახებ ინფორმაციის ფლობა ხელს უწყობს მიმართვიანობას – თუ პიროვნებამ იცის, როგორ მოიქცეს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, 80%-ია იმის ალბათობა, რომ იგი პრობლემის შესახებ განაცხადებს (თუმცა მოსახლეობის მხოლოდ 38%-მა იცის მიმართვიანობის პროცედურის შესახებ).

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ანალიზი“ კონცენტრირებულია რეფერირების პროცედურის იმ ეტაპის ანალიზზე, როგორიცაა: ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაცია, შეფასება, რეაგირება და მონიტორინგი. ამ პროცედურების ძირითად მონაწილეებს შორის გამოვლინდა, რომ პოლიციელებს და სოციალურ მუშაკებს ყველაზე უკეთ ესმით ბავშვთა მიმართ ძალადობის არსი. საგრძნობლად ნაკლები ცოდნა აქვთ მათ რეფერირების/მიმართვიანობის პროცედურების შესახებ. მაგალითად, სოციალური მუშაკების 22% მიიჩნევს, რომ მათ პასუხისმგებლობაში არ შედის ფიზიკურ ძალადობაზე რეაგირება, ხოლო 26% თავის საქმედ არ მიიჩნევს ბავშვის უგულვებელყოფის შემთხვევებს. სკოლებში მომუშავე პროფესიონალებს ნაკლებად ესმით საკუთარი როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებში. მასწავლებლისა და მანდატურების 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინება საჭიროა მაშინ, როდესაც ეს ძალადობა მძიმე ფორმისაა და არაერთხელ მეორდება. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურების ფარგლებში სხვადასხვა პროფესიონალები თანამშრომლობენ, საჭიროა ამ პროცესის გაძლიერება და ფორმალიზება. ბავშვთა რეაბილიტაციის ხელშემწყობი მომსახურეობის სიმწირე მიჩნეულია ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად.

ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე: *„საკმაოდ მძიმე და ცუდი სტატისტიკა გვაქვს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით. მაღალია ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი. ბავშვთა უფლებების დაცვა და სიღარიბის დაძლევა ჩვენი მთავრობისთვის პრიორიტეტია – ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება (ჩვენს კომიტეტს აქვს ამის სურვილი) მომავალი წელი ბავშვთა უფლებების დაცვის და ბავშვთა სიღარიბის დაძლევის წელიწადად გამოვაცხადოთ. ბავშვების უკეთეს მომავალზე ზრუნვა და ბავშვთა სიღარიბის დაძლევა ყველაზე კეთილშობილური საქმეა, რაც ჩვენ უნდა ვაკეთოთ. კვლევის პრეზენტაცია არსებული პრობლემების შესატყვისია. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ გაეროს წარმომადგენლობასთან, გვაქვს კონკრეტული იდეები და მოსაზრებები, რომელზეც ერთად გავაგრძელებთ მუშაობას.*

რაც შეეხება ძალადობას, დიდი სამუშაოა ჩატარებული, განსაკუთრებით რეგიონებში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ოჯახის ყველა წევრმა გაიაზროს, დასჯა ბავშვის აღზრდის საშუალება არ არის და ძალადობის დაშვება ნებისმიერი ფორმით დანაშაულია. ბავშვთა უფლებები კიდევ უფრო მაღალ ხარისხშია ასაყვანი. ამ მხრივ ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, რაზეც, კიდევ ვიმეორებ, ერთად უნდა ვიმუშაოთ ბევრი. ამ საქმეში სახელმწიფოს ყველა რგოლს თავისი ფუნქცია აკისრია.“

აღზრდის პროცესში ფიზიკური ძალადობის გამოყენება – რესპონდენტთა გამოცდილება, დამოკიდებულება და აღქმა ასეთია: საქართველოში საზოგადოების 30 პროცენტი აღნიშნავს, რომ ბავშვობაში მათი მშობლები რეგულარულად იყენებდნენ მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას. ამჟამად, საქართველოში საზოგადოების 45 პროცენტი ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს – ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი „გაფუჭდება“.

კითხვაზე – იყენებენ ან გამოიყენებენ თუ არა ფიზიკურ დასჯას შვილების მიმართ, დადებითად უპასუხა ქალების 30-მა და მამაკაცების 17-მა პროცენტმა. საზოგადოების თითქმის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ აღზრდის მკაცრი მეთოდები არაძალადობრივზე ეფექტიანია.

განათლების დონე პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად მისაღებია ადამიანისთვის ფიზიკური ძალადობა, როგორც დასჯის ფორმა. რაც უფრო მაღალია ადამიანის განათლების დონე, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დასჯის ფორმად ფიზიკური ძალის გამოყენება მიიჩნიოს.

საზოგადოების 82 პროცენტის აზრით, საქართველოში ფიზიკური ძალადობა პრობლემას წარმოადგენს, ხოლო 40 პროცენტი პრობლემას სერიოზულად მიიჩნევს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ბავშვთა ფიზიკური დასჯის მიმართ საზოგადოების ტოლერანტულ დამოკიდებულებასთან.

ბუნებრივია, იმისთვის, რომ ძალადობაზე რეაგირება მოახდინოს, ადამიანს უნდა ესმოდეს, რა სახის ქმედება წარმოადგენს ძალადობას. საქართველოში მოსახლეობის ცნობადობა, კვლევის მიხედვით, ასეთია: წარმოდგენილი ძალადობის ოთხი ფორმიდან – ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ინტერესების უგულებელყოფა – გამოკითხულთა 32 პროცენტს ძალადობის სამი ფორმის ამოცნობა შეუძლია; 8 პროცენტმა მხოლოდ ერთი ფორმის ამოცნობა შეძლო ან საერთოდ ვერც ერთი ვერ ამოიცნო. საქართველოში ყველაზე ნაკლებად ესმით ფსიქოლოგიური ძალადობის არსი.

იმისათვის, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება შეიცვალოს და აღნიშნული ძალადობა დასრულდეს, რამდენიმე მნიშ-

„დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა“

ვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი:

კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, რათა არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანაბრად მიუღებელია ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის (მათ შორის ფიზიკური ძალადობის, ფიზიკური დასჯის) გამოყენება ოჯახში.

უნდა გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სახელმწიფო სისტემა და გაიზარდოს იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომელიც ვალდებული იქნება, მოახდინოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეფერირება; სისტემამ უნდა მოიცვას ბავშვებთან მომუშავე ყველა დაწესებულება და სამსახური, როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულების მქონე პირი.

ყველა შესაბამისმა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის ყველა მონაწილე კარგად იყოს გარკვეული საკუთარ სამუშაო აღწერილობაში, სამუშაოსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ყველა პროფესიონალისთვის განკუთვნილ მითითებებში.

პროფესიონალები უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული, რომ საზოგადოებაში გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის მექანიზმების მიმართ ნდობა; ამასთანავე, უკეთ უნდა იყოს ფორმულირებული მათი ვალდებულებები რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით და, ამ წესის თანახმად, პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოღებულ უნდა იქნეს სათანადო ზომები.

საჯარო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება უნდა თანამშრომლობდეს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიებში, რათა დაიცვან ბავშვები ძალადობისგან, საზოგადოების შეხედულებებისა და დამოკიდებულების შეცვლის პარალელურად.

რეგულარულად უნდა ჩატარდეს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის კამპანიები/ტრენინგები მშობლებისთვის და ამით ხელი შეეწყოს პოზიტიური აღზრდის მეთოდებს.

ბავშვები და ზრდასრულები უნდა გაძლიერდნენ, რათა შეძლონ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება.

მთავრობის მცდელობა, უზრუნველყოს ყველა ბავშვის, განსაკუთრებით კი გოგონების მიერ საშუალო სკოლის დამთავრება, დიდ გავლენას მოახდენს ძალადობის შემცირებაზე ქვეყანაში. ამასთანავე, უნდა გადაიხედოს სასწავლო პროგრამა როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში, რათა მოზარდებმა კარგად გაიგონ, რა არის ძალადობა და მისი შესაძლო შედეგები.

საჭიროა მოძრაობა და დიალოგი ძალადობის თემაზე, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს მთავრობამ.

მაია ცირამუა, ბავშვთა ფსიქოლოგი: *„მიმაჩნია, რომ ეს კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, თუნდაც იმის გასაცნობად, რომ ზოგადად ძალადობის მიმართ ცნობადობა ძალიან დაბალია ჩვენს საზოგადოებაში და ძალიან დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ფიზიკური დასჯა რთულ ბავშვთან გამკლავების ყველაზე ეფექტური ფორმაა. მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ საგანგაშო მონაცემია, თუმცა მოსალოდნელი იყო იმიტომ, რომ იმავეს ადასტურებს ჩვენი პრაქტიკაც. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს კვლევა შეიძლება გახდეს საწინდარი იმისა, რომ საზოგადოებამ გადახედოს აღზრდის ჩვენში დამკვიდრებულ კულტურას, რომელიც ძალადობრივია. სასურველია, ამ კვლევაზე დაყრდნობით, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რათა ბავშვი ზოგადად იყოს დაცული. ვიქნებოდი მომხრე იმისა, რომ ყველგან, სადაც ხვდება ბავშვი – იქნება ეს ოჯახი, სკოლა თუ სხვა სახის ინსტიტუცია – შეიქმნას ბავშვზე ორიენტირებული გარემო, რაც იმას გულისხმობს, რომ ბავშვი მაქსიმალურად დაცული იყოს ძალადობისგან. ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ისიც, თუ რა მაღალია რისკი – თუ ბავშვს რაიმე ტიპის ძალადობა აქვს გამოცდილი, ხშირ შემთხვევაში, შემდგომ ის გამოირჩევა ანტისოციალური ქცევით ან მისი ქცევა კანონთან კონფლიქტში მოდის და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხვდება. ამ მხრივაც, ვფიქრობ, მსგავსი კვლევის არსებობა და მისი საზოგადოების თითოეულ წევრამდე – მასწავლებლამდე, მშობლამდე– მიტანა ერთ-ერთი პრევენციული ნაბიჯი იქნება. თუკი ჩვენ არ ვიცით, რა რისკებს ვუქმნით ბავშვებს, მაშინ ვერც ვიაზრებთ შესაძლო შედეგს და, ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლის ძალადობას, როცა ის აიძულებს მოსწავლეს რაიმეს კეთებას, პედაგოგიურ მეთოდად მივიჩნევთ. ძალიან კარგია, თუკი დღეიდან, ამ კვლევის გაცნობის შემდეგ, ყველას გვეცოდნება, რომ ძალადობა მაღალ რისკებს უდრის.*

ბოლო დროს ფიზიკური დასჯა საზოგადოებაში გაცნობიერებულია, როგორც ძალადობა, მაგრამ ვფიქრობ, კონკრეტულად ემოციური, ფსიქოლოგიური ძალადობის მიმართ ასეთი მაღალი ცნობადობა არ არის. ძალიან ბევრმა პედაგოგმა, მშობელმა, ადამიანმა, რომელიც ბავშვთან ურთიერთობს, არ იცის, რომ სერიოზული ძალადობის ფორმებია, როცა ის ბავშვს ემუქრება ან აშანტაჟებს, თუნდაც შერქმეულ სახელს ეძახის. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნებოდა, ამ კვლევის გაგრძელების სახით, თანატოლთა შორის ძალადობაც გამოკვლეულიყო. ეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და, აქედან გამომდინარე, ვისურვებდი, ამ მიმართულებითაც ჩატარდეს კვლევა, რათა თავი ავარიდოთ მაღალ რისკებს.“

კვლევის თანახმად, ბავშვთა დაცვის პროცედურების და ამ პროცესში სხვადასხვა პროფესიონალების როლის ცოდნა ზრდის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას – როდესაც ადამიანმა იცის, როგორ მოიქცეს და ვის მიმართოს ძალადობის შემთხვევაში, 80%-ით მეტია ალბათობა, რომ იგი განაცხადებს ასეთი ფაქტის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობის მხოლოდ 38 პროცენტია ინფორმირებული რეფერირების მექანიზმის შესახებ.

აღნიშნული კვლევა გამოქვეყნდა იუნისეფის „ბავშვთა მიმართ ძალადობის დასრულების“ შესახებ გლობალური კამპანიის ფარგლებში და მოუწოდებს მოქალაქეებს, კანონმდებლებს, მთავრობებს, მეტად აიმაღლონ ხმა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

აღნიშნული ინიციატივის პრეზენტაცია ივლისში გაიმართა და გავრცელდა ვიდეორგოლი იუნისეფის კეთილი ნების ელჩის, **ლიამ ნისონის** მონაწილეობით, რომელიც მაყურებელს ძალადობის უხილავ სცენებზე მიუთითებს.

„რადგანაც თქვენ ვერ ხედავთ ბავშვთა მიმართ ძალადობას, ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს, – ამბობს ნისონი –*დაინახე უხილავი. დაგვეხმარეთ ერთად დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა. შემოგვიერთდით, ამოიღეთ ხმა.“*

ძალადობა არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ იარებსაც უტოვებს ბავშვებს, აზიანებს მათ ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, ამცირებს სწავლისა და სოციალიზაციის უნარს, აფერხებს მათ განვითარებას.

„ყველამ თავისი როლი უნდა შეასრულოს ბავშვთა მიმართ ძალადობის დასრულების საქმეში. სიტუაციის ანალიზი, შესაბამისი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება, სათანადო მომსახურებების დანერგვა, სოციალური პროგრამების მომზადება მათთვის, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს, ინფორმირებულობის ზრდა და სოციალური ნორმების შეცვლა გადამწყვეტია ძალადობასთან ბრძოლის საქმეში. ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს იძლევა, თუ როგორ შეიცვალოს ძალადობის მიმართ ტოლერანტობა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრაქტიკა საქართველოში“ – აღნიშნავს საშა გრაუმანი.

როგორც ვნახეთ, საქართველოში ბავშვის მიმართ ძალადობის მაჩვენებელი მაღალია, კიდევ უფრო მაღალია ძალადობის დაშვების მაჩვენებული, რაც არანაკლებ შემაშფოთებელია. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ ბავშვზე ძალადობა დასაშვებია – ასეთი რეალობა, ბუნებრივია, არც მშვიდად ყოფნის და არც უქმად ყოფნის უფლებას არ გვაძლევს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ კეთილი ნების ელჩის სიტყვებს: ***„დაინახე უხილავი. დაგვეხმარეთ ერთად დავასრულოთ ბავშვთა მიმართ ძალადობა. შემოგვიერთდით, ამოიღეთ ხმა“ .***

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება რომ შეიცვალოს და დასრულდეს აღნიშნული ძალადობა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი:

❖ კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, რათა არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანაბრად მიუღებელია ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა (მათ შორის ფიზიკური ძალადობის/ფიზიკური დასჯის) გამოყენება ოჯახში.

❖ უნდა გაძლიერდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სახელმწიფო სისტემა და გაიზარდოს იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომელიც ვალდებული იქნება მოახდინოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეფერირება; სისტემამ უნდა მოიცვას ბავშვებთან მომუშავე ყველა დაწესებულება და სამსახური, როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულების მქონე პირი.

❖ ყველა შესაბამისმა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის ყველა მონაწილე კარგად იყოს გარკვეული საკუთარ სამუშაო აღწერილობაში, სამუშაოსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ყველა პროფესიონალისთვის განკუთვნილ მითითებებში.

❖ პროფესიონალები უკეთ უნდა იყვნენ მომზადებული, რათა გაძლიერდეს საზოგადოების ნდობა ბავშვთა დაცვის მექანიზმებისადმი; ამასთანავე, უკეთ უნდა იყოს ფორმულირებული მათი ვალდებულებები რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით და, ამ წესის თანახმად, პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

❖ საჯარო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება უნდა თანამშრომლობდეს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის კამპანიებში, რათა საზოგადოების შეხედულებებისა და დამოკიდებულების შეცვლის პარალელურად, დაიცვან ბავშვები ძალადობისგან.

❖ რეგულარულად უნდა ჩატარდეს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის კამპანიები და ტრენინგები მშობლებისთვის, რომ ხელი შეეწყოს პოზიტიური აღზრდის მეთოდებს.

ბავშვები და ზრდასრულები უნდა გაძლიერდნენ, რათა შეძლონ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინება.

❖ მთავრობის მცდელობა, უზრუნველყოს ყველა ბავშვის, განსაკუთრებით კი გოგონების მიერ საშუალო სკოლის დამთავრება, დიდ გავლენას მოახდენს ძალადობის შემცირებაზე ქვეყანაში. ამასთანავე, უნდა გადაიხედოს სასწავლო პროგრამა როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში, რომ მოზარდებმა კარგად გაიგონ, რა არის ძალადობა და როგორია მისი შესაძლო შედეგები.

❖ საჭიროა მოძრაობა და დიალოგი ძალადობის თემაზე, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს მთავრობამ.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა ასეთია:

❖ ბავშვთა მიმართ ძალადობას საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ამართლებს

❖ მოსახლეობის 60% ოჯახში მკაცრი აღზრდის მეთოდებს ემხრობა

❖ საზოგადოების დიდი ნაწილი ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია

❖ ყოველმა მეხუთე ქართველმა არ იცის ვის მიმართოს, როდესაც ძალადობის მოწმე გახდება

❖ საქართველოში საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ ბავშვობაში მშობლები მათ მიმართ რეგულარულად იყენებდნენ ფიზიკურ ძალას

❖ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლთა ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას

❖ ყოველ მესამე რესპონდენტს სჯერა, რომ ზოგჯერ ქალები თვალს ხუჭავენ, როდესაც მათი პარტნიორები სექსუალურ კონტაქტს ამყარებენ მათ ბავშვებთან

❖ ზრდასრული რესპონდენტების 80%-ს მიაჩნია, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე აქცენტი „ვიღაცამ“ უნდა გააკეთოს, მაგრამ 40%-ის აზრით, ეს ვიღაც თვითონ არ იქნებოდა

❖ მოზარდების 100-ვე პროცენტი ჩაერეოდა ბავშვთა ძალადობის იდენტიფიკაციის შემთხვევებში

აფხაზ მთავართა სათავეებიდან ომის შემდგომ თაობამდე

რუბრიკის სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე

ტარას და მაშო ანჩაბაძეების ოჯახი. 1919 წ.

აფხაზთა უძველესი ისტორიული გვარი

ჩემი გვარი აფხაზეთის უძველეს ისტორიულ გვარად ითვლება. იქაური ზეპირგადმოცემები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ აჩბები (ასეთია ჩვენი გვარის აფხაზური ფორმა) აფხაზეთის გამგებლები იყვნენ ჩაჩბებზე, ანუ შერვაშიძეებზე, უფრო ადრე. აქედან გამომდინარე, ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აჩბათა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყვნენ VIII-X საუკუნეების აფხაზთა მეფეები. რაც შეეხება ჩაჩბა-შერვაშიძეებს, ისინი ისტორიულ წყაროებში XI ან XII საუკუნიდან ჩანან (პირველი თარიღი საკამათოა, მეორე ეჭვს არ იწვევს). თამარ მეფის დროს ცხუმის (სოხუმის) ერისთავი იყო „შარვაშის ძე“ (ეს არის გვარსახელ „შერვაშიძის“ ადრინდელი ფორმა).

ჩვენი გვარის ქართული ფორმა – „ანჩაბაძე“ ძალიან ძველია, შესაძლოა IX–X საუკუნეებში წარმოიშვა, როდესაც აფხაზეთში ქართული დამწერლობა დამკვიდრდა. აფხაზებს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით საქართველოს გაერთიანების საქმეში. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნიკო ბერძენიშვილი: *„აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში“*. ამ ურთიერთობებში, ცხადია, აქტიურად მონაწილეობდნენ ანჩაბაძეებიც. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორი ცნობილი თავადური საგვარეულო – „მაჩაბელი“ და „აფხაზი“ – წარმოშობით ანჩაბაძეები არიან. გარდა ამისა, ჩვენი გვარის ცალკეული შტოები გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაში, აბაზებსა და ჩერქეზებში, სადაც წინათ ისინიც პრივილეგირებულ ფენას ეკუთვნოდნენ.

ერთი თვალსაჩინო აფხაზური ოჯახის ისტორია

მამაჩემის ბაბუა ტარას ანჩაბაძე, თავის მამის მსგავსად, ოფიცერი იყო, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-იაპონიის ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ იყო სოხუმის საქალაქო მმართველობის წევრი. ჰქონდა აგრეთვე დიდი გატაცება – ნადირობა; მის სამონადირეო თავგადასავლებს რუსმა მწერალმა ევგენი მარკოვმა მოთხრობა მიუძღვნა – „ერთი წელიწადი მთებში“. პოდპოლკოვნიკ ტარას ანჩაბაძეს, როგორც მამაცსა და სახელმოხვეჭილ მონადირეს, მოიხსენიებს კონსტანტინე მაჭავარიანიც თავის ცნობილ წიგნში: „სოხუმისა და სოხუმის ოლქის გზამკვლევი“ (1913 წ.). ტარასი წერდა აგრეთვე სასიმღერო კუპლეტებსა და სახუმარო ლექსებს რუსულ და მეგრულ ენებზე.

ტარას ანჩაბაძის მეუღლე იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი – მაშო დადიანი. მაშო პატრიოტი და ქველმოქმედი ქალი იყო, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე, შექმნის დღიდან გაუქმებამდე (1909-26 წწ.). მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ქართული სკოლის დაარსება აფხაზეთში და ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნა. თავის ძმასთან, მწერალ შალვა დადიანთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ თეატრს სოხუმში და ა. შ.

ტარასსა და მაშოს ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. უფროსი შვილი ვალერიანი, ოჯახური ტრადიციისამებრ, სამხედრო სამსახურში შევიდა. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერი იყო. დაიღუპა რუსეთ-საქართველოს ომში 1921 წელს. ბაბუაჩემმა ვიანორმა დაამთავრა ჯერ თბილისის პირველი გიმნაზია, ხოლო შემდეგ – საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემია პეტერბურგში. როგორც სამხედრო ექიმი, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. ომიდან დაბრუნების შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება, აირჩიეს აფხაზეთის სახალხო საბჭოში. 1919 წელს ვიანორი დაქორწინდა ვერა შენგელაიაზე; ქორწილში ვიანორის მეჯვარე მისი ყრმობის მეგობარი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო. საბჭოთა პერიოდში (1937 წლამდე) ვიანორ ანჩაბაძე აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემაში მუშაობდა, დიდი წვლილი მიუძღვის საკურორტო მშენებლობის საქმეში. იყო ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, სახალხო კომისარი. აღსანიშნავია, რომ იგი ერთადერთი უპარტიო კომისარი იყო საქართველოში.

ტარასის უმცროსი ვაჟები, 1918-21 წლებში, ქართული ჯარის ოფიცრები იყვნენ.

ტარას ანჩაბაძე 1935 წელს გარდაიცვალა და ვერ მოესწრო 1937-38 წლების სასტიკ რეპრესიებს, რომლებმაც იმსხვერპლეს მისი ვაჟები: ვიანორი, ვარლამი და გიორგი. ჩეკისტებს გადაურჩნენ მხოლოდ ლადი და ნიკოლოზი, რომლებიც შეცვლილი დოკუმენტებით ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში. 1937 წელს დახვრიტეს, აგრეთვე, ქალიშვილის – ტატიანას მეუღლე ნიკოლოზ აქირთავა, ხოლო ვიანორის მეუღლე ვერა დააპატიმრეს და შვიდი წელი გაატარა ყაზახეთის სტეპებში, აკმოლინსკის ბანაკში, სადაც „ხალხის მტრების“ ცოლები და ქალიშვილები ისხდნენ.

ვიანორსა და ვერას ჰყავდათ ორი შვილი – ზურაბი და ირინა. მამაჩემს, ზურაბს, ბავშვობის მეგობართა ფართო წრე ჰყავდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მომლხენი სოხუმელი (და არა მარტო სოხუმელი) ბიჭები. ბევრი მათგანი ფეხბურთით იყო გატაცებული, მათ შორის ზურაბიც, რომელიც სკოლის წლებში ბავშვთა საქალაქო გუნდის კაპიტანი იყო. მაშინ ამ გუნდში თამაშობდა არა ერთი შემდგომში სახელგანთქმული სპორტსმენი, მაგალითად, ავთანდილ ღოღობერიძე. ზურაბს ახალგაზრდობაში ბევრი რამ გადახდენია თავს, რამდენიმეჯერ დანითაც იყო დაჭრილი. მეგობრებს უყვარდათ მისი თამადობით ქეიფი, ცეკვა, რომლის დროსაც გაწყობილი მაგიდა კბილებით ეკავა.

ამავე დროს, ზურაბი ბევრს კითხულობდა, გატაცებული იყო ჰუმანიტარული მეცნიერებებით. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩააბარა თბილისში. მისი ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. შემდეგ ზურაბმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. აქვე გაიცნო მომავალი მეუღლე, თბილისელი თინათინ ხახიშვილი.

მეც თბილისში დავიბადე, აქვე დავამთავრე სკოლა და უნივერსიტეტი. 1973 წელს ჩემი მშობლები სოხუმში გადავიდნენ, სადაც ზურაბ ანჩაბაძე იმ პედინსტიტუტის რექტორად დაინიშნა, რომლის სტუდენტი ოდესღაც თვითონ იყო. 1979 წელს ინსტიტუტი გადაკეთდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. ზურაბ ანჩაბაძე აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო. გარდაიცვალა 1984 წელს და დაკრძალეს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ეზოში. დაკრძალვას უამრავი ადამიანი დაესწრო არა მარტო საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდანაც.

მე და ჩემს მეუღლეს, ნონა ქომეთიანს ორი ქალიშვილი გვყავს, ელისო და ნინო (ორივე დაოჯახებული) და სამი შვილიშვილი – ელენე, საბა და გიორგი.

„ენა თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“

ადრინდელი მასალები ამის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ შედარებით გვიანდელი ხანის წყაროები მოწმობენ, რომ აფხაზთა მთავრების მშობლიური ენა იყო აფხაზური. მაგალითად, ქართველი მწერალი და მოგზაური გიორგი ავალიშვილი, რომელიც პირადად შეხვედრია აფხაზეთის მთავარ საფარბეგ (გიორგი) შერვაშიძეს (გარდ. 1821 წ.), წერს, რომ მთავარმა აფხაზურის გარდა სხვა ენა არ იცოდა და მხოლოდ ცოტათი ესმოდა ქართულიო. თუმცა ამ მხრივ საფარბეგი, როგორც ჩანს, მაინც გამონაკლისს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრებისათვის დამწერლობის ძირითადი ენა ქართული იყო, რომელსაც, სავარაუდოა, საგანგებოდ ასწავლიდნენ ბავშვებს დიდგვაროვანთა ოჯახებში. ამიტომ წერს ბატონიშვილი ვახუშტი აფხაზებზე: *„ენა თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“*. საფარბეგის ვაჟიც, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე შესანიშნავად საუბრობდა და წერდა ქართულად. ამასთან ერთად მან იცოდა აფხაზური, ჩერქეზული, უბიხური და თურქული ენები. მიხეილის ვაჟი კი, პოეტი გიორგი შერვაშიძე, როგორც ქართული საზოგადოებისთვის არის ცნობილი, შესანიშნავი მოქართულე იყო, თუმცა შედარებით ცოტამ იცის, რომ იგი ბრწყინვალედ ფლობდა აფხაზურ ენასაც. აკად. სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ გიორგი შერვაშიძის დროს აფხაზეთში ისეთი აფხაზურით უკვე აღარავინ ლაპარაკობდაო (იხ. ს. ჯანაშიას შესავალი წერილი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი) წიგნში: „გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, დრამა, ეპოსი“. I გამოცემა – სოხუმი, 1946; II გამოცემა – თბ., 1986).

„აფსუა“ და „აფხაზი“ – ავტოეთნონიმი და ალოეთნონიმი

ტერმინ „აფსუასა“ და „აფხაზს“ შორის იგივე განსხვავებაა, რაც ტერმინებს „ქართველსა“ და „გურჯს“ ან „გრუზინს“ შორის. პირველი ავტოეთნონიმია, ანუ თვითსახელწოდება, ხოლო მეორე – ალოეთნონიმი, ანუ სახელი, რომელსაც სხვა ხალხები უწოდებენ.

რაც შეეხება აფხაზთა წარმომავლობას, ისინი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მკვიდრები არიან. ფართო საზოგადოებამ, ალბათ, აღარ იცის, რომ 1989 წლამდე (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ღია ფაზის დასაწყისი) ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა აზრი, რომ შორეულ წარსულში თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომებით. ამ აზრს ემხრობოდნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და არა ერთი სხვა წამყვანი მეცნიერი.

ზურაბ ანჩაბაძე. 1957 წ.

აფხაზური ენის სათავეები

ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ადრე არსებობდა აფხაზური დამწერლობა, რომელიც შემდეგ დავიწყებას მიეცა. მსოფლიოში ასეთი ფაქტები ცნობილია, მაგრამ აფხაზურ ენასთან მიმართებაში მე ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ის არგუმენტები, რომლებსაც ზემოხსენებული მეცნიერები ეყრდნობიან, დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია. ამიტომ გავიმეორებ ტრადიციულ აზრს, რომ აფხაზურ ენას დამწერლობა არ ჰქონია 1862 წლამდე, როდესაც რუსმა ენათმეცნიერმა უსლარმა მას გრამატიკა და ანბანი შეუქმნა რუსული ანბანის საფუძველზე. ამაში გასაკვირი არაფერია. კავკასიაში ათეულობით ენა არსებობს, ძველი დამწერლობა კი მხოლოდ ქართულ და სომხურ ენებს აქვთ. რუსები კავკასიის იმ ენებს, რომლებსაც დამწერლობა არ გააჩნდათ, რუსულის საფუძველზე უქმნიდნენ დამწერლობას, რათა ხელი შეეწყოთ მათი შემდგომი რუსიფიკაციისათვის. მარტო უსლარმა, მაგალითად, გარდა აფხაზურისა, დამწერლობა შეუდგინა ჩერქეზულ, ჩეჩნურ, ლაკურ და ზოგიერთ სხვა ენას. ამავე მოსაზრებით მოხდა შემდეგ მეგრული და სვანური ანბანების შექმნა.

ახლა რაც შეეხება საუკუნეს, თუ როდიდან ფიქსირდება პირველად აფხაზური ენა. ასეთად შეიძლება XII საუკუნე ჩავთვალოთ, როდესაც თამარ მეფემ თავის ვაჟსა და მემკვიდრეს სახელი „ლაშა“ უწოდა. მემატიანე განმარტავს: „...ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“. სოფლის, ანუ ქვეყნის, განმანათლებელი – სინათლის სხივია. აფხაზურ ენაზე მას დღესაც ლაშა ეწოდება.

მომდევნო ხანებში რამდენიმე ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზებს თავისი ცალკე ენა აქვთო. ბოლოს კი, 1641 წელს, თურქი მოგზაური ევლია ჩელები აღწერს აფხაზურ ენას და მოჰყავს რამდენიმე ათეული აფხაზური სიტყვა და წინადადება შესაბამისი თურქული თარგმანით.

ენგურსგალმა დარჩენილი აფხაზური ცხოვრება...

აფხაზეთში რეგულარულად დავდივარ, წელიწადში ერთი-ორჯერ. კოლეგებთან კავშირი, ცხადია, მაქვს. სხვა რომ არაფერი, 2001 წლიდან ლექციებს ვკითხულობ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ცხოვრებაზე რა მოგახსენოთ, დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჩვენთან. ზოგი კარგად ცხოვრობს, ზოგს – უჭირს.

პირველი ვიზიტი ომის შემდგომ აფხაზეთში...

ომის შემდეგ პირველად აფხაზეთში 1998 წელს ჩავედი. მაშინ ადლერში ქართულ-აფხაზური შეხვედრა მიმდინარეობდა, რომელსაც ვესწრებოდი. იქიდან ფსოუს საზღვარი გადავკვეთე, ერთი დღით ჩავედი სოხუმში და შემდეგ უკან ისევ ფსოუთი გადმოვედი. შესაძლოა პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც ფსოუს საზღვარი გადაკვეთა ქართული პასპორტით. რუსი მესაზღვრეები არც იქით არ მატარებდნენ, არც უკან არ უნდოდათ ჩემი გამოშვება, ორივეჯერ აფხაზები დამეხმარნენ.

დაბრუნება აფხაზ სტუდენტებთან „აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიით“

აფხაზეთში მეორედ 1999 წელს ჩავედი. ეს იყო ქართული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა პირველი ჩასვლა სოხუმში. ვიყავით მე, გია ნოდია და მარინა ელბაქიძე. ჩვენი ვიზიტის ორგანიზატორი იყო ამერიკელი მეცნიერი, კალიფორნიის ირვაინის უნივერსიტეტის პროფესორი, ქ-ნი პოლა გარბი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრების მოწყობაში. ჩვენ ღია შეხვედრები ჩავატერეთ აფხაზურ საზოგადოებასთან სოხუმში. დაგვისვეს ბევრი კითხვა, რაზეც პასუხები გავეცით. ეს ტექსტები გამოქვეყნებულია ირვაინის უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემული წიგნების სერიაში „Аспекты грузино-абхазского конфликта“. მსგავსი ფორმატის შეხვედრა სოხუმში აღარ განმეორებულა. სწორედ მაშინ, ერთ-ერთი შეხვედრის დროს აფხაზეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა შემომთავაზეს, თუ სურვილი მქონდა, შემეძლო განმეახლებინა მათთან ლექციების კითხვა (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს ომის წინა წლებში ვკითხულობდი).

1984 წელს, როდესაც პირველად დავიწყე მუშაობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მე იქ შევიტანე ორი ახალი საგანი, რომლებიც მანამდე არსად არ ისწავლებოდა: 1) საქართველოს სამხედრო ისტორია და 2) აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია. ამ საგნებს ვკითხულობდი ქართულ და რუსულ ენებზე, იმჟამად უნივერსიტეტში არსებულ სამივე – აფხაზურ, ქართულ და რუსულ – სექტორზე.

2001 წელს განვაახლე სოხუმში აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის კითხვა, (ისტორიული გეოგრაფია სპეციალური ისტორიული დისციპლინაა ისტორიისა და გეოგრაფიის მიჯნაზე. შეისწავლის ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიას წარსულ ისტორიულ ეპოქებში), გარდა ამისა, ზოგჯერ ვკითხულობ სხვა კურსებსაც. წამიკითხავს ოსმალეთის იმპერიის ისტორია, კავკასიის ომი...

ვფიქრობ, სტუდენტებს აინტერესებთ შეთავაზებული თემები, ვინაიდან ბევრ კითხვას მაძლევენ, შემდეგ ზოგ სტუდენტთან ელექტრონული მიმოწერაც მაქვს ხოლმე. ჩემი ლექციების შესახებ რამოდენიმეჯერ დადებითად აღინიშნა აფხაზურ პრესაში.

ომის შემდგომი თაობის განწყობა

დღევანდელი აფხაზი სტუდენტები ომის შემდგომი თაობაა. მათ არა აქვთ ქართველებთან თანაცხოვრების გამოცდილება და მიაჩნიათ, რომ ცხოვრობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ზოგჯერ მეკითხებიან საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე. ა.წ. მაისში, როდესაც ლექციებით ვიყავი ჩასული სოხუმში, ერთმა სტუდენტმა სურვილი გამოთქვა, რომ სიამოვნებით გაეცნობოდა „ქართლის ცხოვრებას“, თუ არსებობსო მისი რუსული თარგმანი. ასეთი წიგნი მართლაც გამოიცა თბილისში რამდენიმე წლის წინ. მინდა შევიძინო, თუ ვიშოვე, და გადავცე უნივერსიტეტში ისტორიის კაბინეტს, რათა სტუდენტებს მისი გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

არაეფექტური პოლიტიკით შემცირებული შესაძლო კომპრომისების სივრცე

„განვლილმა ოცმა წელმა გვიჩვენა, რომ ის მიდგომა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს ჰქონდა, არასწორია და პოზიტიური შედეგის მომტანი არ არის. ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა სხვაგვარად მივუდგეთ საკითხს“ (გ. ანჩაბაძე).

ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართული პოლიტიკა აფხაზეთის მიმართებაში უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტური იყო. გაიხსენეთ გასული ათწლეულების ის ქართველი დიდმოხელეები და პარლამენტარები, რომლებიც მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ დრო საქართველოს სასარგებლოდ მუშაობსო, უახლოეს მომავალში ამოქმედდება რაღაც მექანიზმები და მყისვე აღდგება ტერიტორიული მთლიანობაო. ეს მოღვაწეები დიდი ხანია გაქრნენ ტელეეკრანებიდან, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა. იგივე დაპირებები გვესმოდა ბოლო დრომდე – ქართული მიზნების მიღწევა ჯერ რუსეთის მეშვეობით, შემდეგ დასავლეთისა და საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით ან საკუთარი შეიარაღებული ძალებით. აფხაზებთან დიალოგი შედეგის მომტანად წარმოედგინათ მხოლოდ ძალისმიერი შანტაჟის ფონზე. სერიოზულად არავის უფიქრია აფხაზთა რეალურ ინტერესებზე, რასაც მოლაპარაკებების პოზიტიურ სიბრტყეში გადატანა შეეძლო. ამ ფონზე, ფაქტობრივად, არ იქნა გამოყენებული იმ ცალკეული ქართველი პოლიტიკოსების შესაძლებლობები, რომლებსაც აფხაზებთან მოლაპარაკების უნარი ჰქონდათ და მათი მხრიდან გარკვეული აღიარებით სარგებლობდნენ.

დაკარგულმა წლებმა, ცხადია, შეამცირეს შესაძლო კომპრომისების სივრცე, ამიტომ ახალი ხელისუფლება დღეს ამ საკითხში გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე მისი წინამორბედები იყვნენ მმართველობის დასაწყიში. მაგრამ დროის მეტი გაჭიანურება ქვეყნისთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია. ამიტომ სიტუაციის გასარღვევად საჭიროა არაორდინარული სვლები, ურთიერთობების ახალი ფორმატისა და მოდელის შეთავაზება. ორი სიტყვით ამის დაკონკრეტება, მით უმეტეს ასეთი ფართო ხასიათის ინტერვიუში, შეუძლებელია და, ვფიქრობ, მიზანშეწონილიც არ არის.

20 წლის გადასახედიდან – მინიმუმამდე დასული ურთიერთობები

რა უნდა შეცვლილიყო, როდესაც ურთიერთობები მინიმუმამდეა დასული. თუ არ ჩავთვლით ენგურისპირა მოსახლეობას, წელიწადში ალბათ რამდენიმე ათეული ქართველი და აფხაზი თუ ხვდება ერთმანეთს, ისიც მნიშვნელოვანწილად ერთი და იგივე ადამიანები. ამიტომ აფხაზური და ქართული საზოგადოებები თანდათან შორდებიან ერთმანეთს. ადრეც მითქვამს, რომ 1992-93 წლების ომის შემდეგ აფხაზეთში იყო მოლოდინი, რომ საქართველოს ხელისუფლება შეაფასებდა შექმნილ ვითარებას და აფხაზებს შესთავაზებდა რაიმე მათთვის მისაღებ პოლიტიკურ მოდელს – საერთო სახელმწიფოს კონფედერაციის ან ფართო ფედერაციის სახით. 1998 წლის გალის „მოვლენებისა“ და 2001 წელს აფხაზეთში გელაევის რაზმის შეყვანის შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. შემთხვევითი არ იყო, რომ აფხაზებმა დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადეს მხოლოდ 1999 წელს. გელაევის რეიდის შემდეგ მე ვიყავი სოხუმში და ვიგრძენი, რომ უკვე რაღაცნაირად „გაცივებული“ იყო ქართულ მხარესთან შეთანხმების ინტერესი. ამ პერიოდს ემთხვევა აფხაზეთისათვის რუსული ბლოკადის მოხსნა, პასპორტების გაცემა და სხვ. ანუ რუსეთმა გააკეთა ყველაფერი ის, რაც საქართველოს თავისი მხრიდან რომ შეეთავაზებინა, მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდა. აფხაზებში რჩებოდა კიდევ იმის განცდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო წამოეწყო ახალი ომი მათ წინააღმდეგ, მაგრამ 2008 წელმა გაურკვეველი ვადით ეს ფაქტორიც მოხსნა. ყოველივე ამის გამო აფხაზეთში საქართველოსადმი ინტერესი განელდა, თუმცა, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დიალოგის თემა აღარ არსებობს და რეალური კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია.

აფხაზეთთან დაკავშირებული ყველაზე მძაფრი მოგონება

მძაფრი მოგონება, ალბათ მძიმე მოგონებას გულისხმობს, არა? პირველი იყო მამაჩემის მოულოდნელი გარდაცვალება სოხუმში. მეორე, რა თქმა უნდა, 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური ომია, თუმც მე იმ დროს ფიზიკურად აფხაზეთში არ ვყოფილვარ. ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია, თუ რა მასშტაბის ტრაგედია დაგვატყდა თავს. ვინც ვერ ხვდება რას ვგულისხმობ, კიდევ გადაიკითხოს ყურადღებით აკაკის „გამზრდელი“, ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდები“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“... მესამე მძიმე მოგონება, რაც აფხაზეთთან მაკავშირებს, ეს არის ზურაბ აჩბას ვერაგული მკვლელობა 2000 წელს. ზურაბი იყო უაღრესად დადებითი პიროვნება და მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელსაც სურდა ქართულ-აფხაზური წინააღმდეგობების დაძლევა პოზიტიური და ორივე მხარისათვის მისაღები პოზიციებიდან. მე დავესწარი მის დაკრძალვას. ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებდა.

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

გიორგი ანჩაბაძე ოჯახთან ერთად. 2010 წ.

სასერტიფიკაციო გამოცდა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

დასაწყისი იხ. №29

რუკის გრადუსთა ბადე

რუკის კითხვის უნარ-ჩვევა სწრაფად და ერთბაშად არ ყალიბდება. იგი თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს და სრულყოფილი გახდეს. რუკის კითხვა მოიცავს: ა) რუკის ლეგენდის გამოყენებით რუკაზე გამოსახული ცალკეული ობიექტების ან მოვლენების თავისებურებების ახსნას; ბ) ობიექტებისა და მოვლენების მდებარეობისა და მათი ურთიერთგანლაგების შესახებ სწორი სივრცობრივი წარმოდგენების მიღებას; გ) სივრცეში მდებარე ობიექტებისა და მიმდინარე მოვლენების შეჯერებას, ამა თუ იმ ტერიტორიის, ან დამატებით, რუკაზე არგამოსახული ობიექტისა და მოვლენის შესახებ ერთიანი წარმოდგენის შესაქმნელად; დ) შესასწავლი ობიექტების განლაგების, ურთიერთკავშირების, ურთიერთზემოქმედებისა და განვითარების კანონზომიერებების მიზეზების დადგენას.

სირთულის მიხედვით რუკის კითხვის სამი დონე გამოიყოფა:

რუკის ელემენტარული კითხვა – მოიცავს მოცემული ობიექტის თავისებურებების ახსნას მისი გარეგნული იერსახის მიხედვით. ობიექტის სახელწოდებისა და მისი გამოსახულების შეჯერების შედეგად მივიღებთ მტკიცებულებას: „ეს კავკასიონის მთებია“; „ეს აფრიკაა“; „ეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებია“. რუკის კითხვის ეს დონე, თავისი დონითა და ხასიათით, პრიმიტიულია და დამახასიათებელია მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. ეს დონე შეიძლება ანბანის ათვისებას შევადაროთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუკის ელემენტარული კითხვის გარეშე შეუძლებელია შედარებით რთულ დონეზე გადასვლა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დიდი ყურადღება დაუთმოს ამ საკითხების შესწავლას, რათა რუკის „ანბანი“ მოსწავლეებმა საკმაოდ მყარად და საფუძვლიანად აითვისონ.

რუკის რთული კითხვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუკის გამოყენებით შესაძლებელია მსჯელობა რუკაზე გამოსახული ობიექტების თავისებურებების, ამ ობიექტების დედამიწის ზედაპირზე მდებარეობისა და ურთიერთგანლაგების შესახებ, სწორი სივრცობრივი წარმოდგენების შექმნა. მოსწავლეებში ამ უნარ-ჩვევის ფორმირება შედარებით რთულია, თუმცაღა აქაც სირთულის ხასიათი მოსწავლეთა კარტოგრაფიულ და გეოგრაფიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული. მოვიყვანოთ მაგალითი: „ურალის მთები გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ“; „აფრიკა არ არის დანაწევრებული კონტინენტი, მისი ზედაპირი ერთგვაროვანია. იგი ცხელ სარტყელში მდებარეობს“. როგორც ვხედავთ, ობიექტის გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მსჯელობა იმ მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით მიმდინარეობს, რომლებიც ასახულია რუკაზე (ისე, როგორც რუკის ელემენტარული კითხვის დროს), მაგრამ ობიექტების დახასიათება შედარებით სრულად ხდება.

რუკის კითხვის მესამე დონე გონებრივი შესაძლებლობების უფრო მეტ დაძაბვას მოითხოვს. ამ დროს მოსწავლე იყენებს როგორც გეოგრაფიულ ცოდნას, ასევე სარგებლობს რუკაზე გამოსახული ფაქტებით. მათზე დაყრდნობით მას გამოაქვს დასკვნები და იძენს ახალ ცოდნას. მოვიყვანოთ მაგალითი: რომელიმე ქვეყნის დახასიათება რუკაზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. დავუშვათ, რომ ამ ქვეყნის რუკაზე აღნიშნულია ქვიშები, მლაშე ტბები, სარწყავი არხები. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მოცემული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაახასიათოს ეს ქვეყანა. ის ამბობს, რომ ამ ქვეყანაში ცხელი და მშრალი კლიმატია. მართალია, ეს რუკა კლიმატის შესახებ უშუალო ცნობებს არ იძლევა, მაგრამ რუკიდან ამოკითხული მონაცემების ასოციაციის საფუძველზე მოსწავლეს სწორედ შეექმნა წარმოდგენა ამ ქვეყნის კლიმატის შესახებ. მან, ამავე დროს, გამოიყენა გეოგრაფიული ცოდნა განედური ზონალურობისა და მშრალი კლიმატიდან გამომდინარე შედეგების შესახებ. რუკის კითხვის ეს დონე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო კუთხით, რადგან აქ ორგანულად და ღრმად ერწყმის ერთმანეთს გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნა და უნარები. მოსწავლეები ეჩვევიან ნებისმიერი მოვლენის განხილვას არა იზოლირებულად, არამედ გეოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების მიზეზ-შედეგობრივ სისტემაში.

გეოგრაფიის სწავლებისას მოსწავლეებს უნდა გავუღვიძოთ ინტერესი, რომ ხშირად გამოიყენონ რუკა მათთვის საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად. ამ მიზნის მისაღწევად პედაგოგმა მოსწავლეებს წინასწარ არ უნდა ამცნოს ის, რისი ამოკითხვაც მათ რუკიდან შეუძლიათ. მართალია, რუკის დამოუკიდებელი კითხვა შედარებით დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ, ამ დროს მოსწავლეთა საქმიანობა აქტიურდება, რის შედეგადაც ისინი მასალას უფრო ღრმად და საფუძვლიანად ითვისებენ.

მასწავლებლის მიერ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების ჩამოთვლა და მათი რუკაზე ჩვენება მოსწავლეებში მოწყენილობას, უყურადღებობას იწვევს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობა – პირიქით, მათ ახალისებს, ასევე პასუხისმგებლობას, ყურადღებას უვითარებს. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მეთოდური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეთა რუკაზე მუშაობის ფორმები და სახეები გაამრავალფეროვნოს, გააქტიუროს და, ამისთვის, სხვადასხვა თამაშები, სავარჯიშოები, კითხვები გამოიყენოს.

შედარებით რთული ამოცანაა, ვასწავლოთ მოსწავლეებს რუკის კითხვა იმ მიზნით, რომ მათ დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით ცალკეული ტერიტორიების გეოგრაფიული აღწერა შეძლონ. ამ დროს მეტად ეფექტურია მოსწავლეთათვის წინასწარ იმ პროგრამის გაცნობა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა წაიკითხონ რუკა. მასწავლებელი წინასწარ ადგენს იმ კითხვებს, რომელთა პასუხებიც მოსწავლეებმა რუკიდან უნდა ამოიკითხონ. ასეთი კითხვები მასწავლებელმა ხშირად უნდა შეადგინოს. მაგალითად, ზღვების შესწავლისას, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის პროგრამა-კითხვები:

1. აჩვენეთ ზღვები რუკაზე მათი სახელწოდებების დასახელებით;
2. დაადგინეთ, რომელი ოკეანეების აუზებს მიეკუთვნებიან ისინი;
3. დაადგინეთ, რომელ კონტინენტებსა და ქვეყნებს ესაზღვრებიან ისინი;
4. დაასახელეთ ამ ზღვებში მდებარე კუნძულები და ნახევარკუნძულები;
5. დაადგინეთ, რომელი მდინარეები ჩაედინებიან მათში;
6. დაადგინეთ, რომელი ზღვები იყინებიან;
7. დაადგინეთ, რომელი მნიშვნელოვანი ნავსადგურები მდებარეობენ მათ ნაპირებზე;
8. დაადგინეთ, გადის თუ არა ამ ზღვებზე სამგზავრო თუ სატვირთო გემების სანავიგაციო გზები.

როგორც ვხედავთ, ეს კითხვები რუკის კითხვის პირველ და მეორე დონეს შეესაბამება. ახლა კი, გავეცნოთ რუკის კითხვის მესამე დონის შესაბამის კითხვებს:

1. შესაძლებელია თუ არა მთელი წლის განმავლობაში ნავიგაცია კარის, ბარენცის, ჩრდილოეთის ზღვებში?
2. სად უფრო ხანგრძლივადაა შესაძლებელი ნავიგაცია – სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთით ნორვეგიის ზღვასთან თუ თეთრ ზღვაში და რატომ?

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ ზღვებში გაყინვის ხაზის მდებარეობა და გამოიტანონ დასკვნა, რომ ნავიგაცია კარის ზღვაში შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულში, ხოლო სკანდინავიის დასავლეთით კი მთელი წელი, რადგან იქ ჩრდილო-ატლანტიკური თბილი დინება გადის.

ასეთი დავალებების შესრულება ხელს უწყობს გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნის გაღრმავებას და გაფართოებას.

მოსწავლეებში განსაკუთრებულ სირთულეს იწვევს თემატური რუკის კითხვა. ასეთი რუკები ფართოდ გამოიყენება შედარებით მაღალ კლასებში და ხშირად ისინი სხვადასხვა საჭირო ინფორმაციის მოძიების ძირითად საშუალებას წარმოადგენენ. თემატური რუკის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, ისინი განსაკუთრებული შინაარსისაა და მეორეც, მოსწავლეებს არ შეუძლიათ მათი შედარება. ამ რუკების შინაარსი ხშირად აბსტრაქტული ხასიათისაა, რადგან მათზე გამოსახულ მოვლენებს სინამდვილეში არა აქვთ ხილული კონტურები. ასეთია, მაგალითად კლიმატური, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების და სხვა რუკები. ამ რუკებზე გამოყენებულია გამოსახვის განსაკუთრებული ხერხები (მაგალითად, წერტილები, პუნსონები, კარტოგრამები, კარტოდიაგრამები და ა.შ.), რომლებიც მოსწავლეებს არ ხვდებათ ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე. ასეთი ტიპის რუკებზე, საწყის ეტაპზე, მოსწავლეებს საკმაოდ უჭირთ ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობის დადგენა, რადგან მათთვის ცნობილი ორიენტირების მახასიათებელთა ქსელი (მაგალითად, რელიეფი) ასეთ რუკებზე არ ხვდებათ. ამ შემთხვევაში უპრიანია მათ ერთდროულად გამოიყენონ ფიზიკური და თემატური რუკები, რომ მიეჩვიონ ამ უკანასკნელზე იმავე ობიექტების მოძებნას და მათი მდებარეობის დადგენას. მოსწავლეებმა ასეთი რუკების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეძლონ მსჯელობა და დასკვნების გამოტანა.

საქართველოს კლიმატური და ფიზიკური რუკები



ამ მეთოდს, პირობითად, შეიძლება „რუკების ერთმანეთზე დადების“ მეთოდი ვუწოდოთ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორი ან მეტი სხვადასხვა შინაარსის რუკის მონაცემთა შედარებითა და შეჯერებით ხდება მსჯელობა და დასკვნების გამოტანა შესასწავლი ტერიტორიის თავისებურებებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ.

ახალი გეოგრაფიული ცოდნის მიღება, ასევე, შესაძლებელია შინაარსის მიხედვით ერთნაირი, მაგრამ მასშტაბით განსხვავებული რუკების შედარებით.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუკა გეოგრაფიის (და არა მარტო მისი) სწავლების მნიშვნელოვანი საშუალებაა, ხოლო რუკის კითხვა ამ სწავლების პროცესში მეტად ეფექტური მეთოდია, რადგან იგი ცოდნის მიღებასთან ერთად ბევრ უნარ-ჩვევას უყალიბებს და უვითარებს მოსწავლეებს.

გთავაზობთ რამდენიმე ტიპურ დავალებას რუკებზე

1. მოცემულ რუკაზე აღნიშნულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები. დაადგინეთ, რომელია ეს ორგანიზაციები:

ა)



პასუხი: მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია.

ბ)



პასუხი: ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია, შემოკლებით ოპეკი.

სასერტიფიკაციო გამოცდა

გ)



პასუხი: დიდი ოცეულის წევრი ქვეყნები.

დ)

პასუხი: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

2. რომელი რუკის ფრაგმენტია მოცემული ილუსტრაციაზე:

ა)



პასუხი: აჭარის ჰიდროგრაფიული ქსელი.

ბ)

პასუხი: აჭარის ლითონური მადნების და ქიმიური ნედლეულის საბადოები.

გ)



პასუხი: მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე.

დ)



პასუხი: სეისმური საშიშროების რუკა.

ინფორმაცია

უპრეცედენტო პროექტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უპრეცედენტო პროექტს განახორციელებს – 2013 წლის ნოემბერში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხრა ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყება. სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, რამდენიმეთვიანი მონიტორინგი განახორციელა. შედეგად, გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე ცხრა სოფლის სკოლის მშენებლობა გადაწყდა:

❖ საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში – 1000 მოსწავლეზე ;
❖ ქარელის რაიონის სოფელ აბანოში –90 მოსწავლეზე;
❖ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში – 144 მოსწავლეზე;
❖ ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურ სვირში – 120 მოსწავლეზე;
❖ მარნეულის რაიონის სოფელ ახალ დიოკნისში – 144 მოსწავლეზე;
❖ მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში – 240 მოსწავლეზე;
❖ ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარში – 60 მოსწავლეზე;
❖ მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში – 450 მოსწავლეზე;
❖ ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუღაშენში – 120 მოსწავლეზე.

ზემოაღნიშნულ ყველა სოფლის მოსწავლეს უკიდურესად მძიმე პირობებში უწევს სწავლა. ზოგიერთ შემთხვევაში, სკოლები ნაქირავებ ან მიტოვებულ, სწავლისთვის შეუფერებელ შენობებშია განთავსებული. არსებულ სკოლის შენობებს კი, დიდი ხანია ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა და გადაუდებელ დემონტაჟს ექვემდებარება. მათ ნაცვლად ახალი, თანამედროვე სტანდარტის ცხრა ახალი სკოლა აშენდება, ანალოგიური ფართომასშტაბიანი მშენებლობა სამინისტროს აქამდე არ განუხორციელებია, ეს პირველი შემთხვევაა.

ასაშენებელი სკოლების პროექტებზე მუშაობა დასრულდა. მალე სკოლების მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება. ახალი სკოლებისთვის შექმნილ პროექტებში გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადგილმდებარეობის სპეციფიკა და ის ნიუანსები, რომელიც კონკრეტული სკოლისთვისაა მნიშვნელოვანი.

თამარ სანიკიძის განცხადებით, სკოლები, რომლებიც სამინისტროს დაფინანსებით აშენდება, უნდა გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ ფასადური სილამაზით, არამედ, მშენებლობის ხარისხითა და კომფორტულობით. ახალი სკოლები უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებს და მორგებული იყოს მოსწავლისა და მასწავლებლის საჭიროებებს.

ახალი სკოლების მშენებლობა მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დაიწყება და მათი უმრავლესობა ერთ წელიწადში დასრულდება. რაც შეეხება სკოლის მშენებლობას სოფელ ლამბალოში, რომელიც ყველაზე დიდი პროექტია და 1000 მოსწავლეზეა გათვლილი, სავარაუდოდ, წელიწადსა და სამ თვეში, ან წელწადნახევარში დასრულდება.

ქვეყნისათვის პროექტის მნიშვნელობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის ინიციატივით, პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე **დიმიტრი ქუმსიშვილი**.

მშობელთა კრება

თუ ბავშვი ადვილად იღლება

ბავშვი თამაშობს, უეცრად იატაკზე ჯდება და ასე აგრძელებს თამაშს ან სულაც თავს ანებებს გართობას და წამოწვება. მშობლის თვალს არ გამოეპარება მისი უეცარი ცვლილება. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? გვესაუბრება პედიატრი **ნანა მღებრიშვილი**.

– რას უნდა ნიშნავდეს ბავშვის ადვილად დაღლა?

– უეცრად აღმოცენებული არამოტივირებული დაღლილობა იმაზე მიანიშნებს, რომ ბავშვი ავად ხდება. მაგალითად, ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციით. მისი პირველი ნიშანი სწორედ ადვილად დაღლაა. ავადმყოფობის შემდეგ ბავშვს დაუბრუნდება ჩვეული ენერგია და აქტიურობა, თუმცა ზოგიერთი ინფექციური დაავადების შემდეგ აღდგენითი პროცესი რამდენიმე კვირა გრძელდება, ასეთია: გრიპი, ინფექციური მონონუკლეოზი, მაღალი ტემპერატურით მიმდინარე დაავადებები...

– რომელი დაავადება შეიძლება ვიეჭვოთ, როდესაც ბავშვი დაღლილობას უჩივის?

– უეცარი დაღლილობა, თუ ბავშვი, ამასთან ერთად, გამუდმებით ითხოვს წყალს და აქვს გაძლიერებული შარდვა, შაქრიანი დიაბეტის არსებობას მიგვანიშნებს. თუ ამას ერთვის ტკივილი მუცლის არეში და წონის კლება, სასწრაფოდ მიმართეთ ენდოკრინოლოგს! მუდმივი დაღლილობა, რომელიც სამ კვირაზე მეტი გრძელდება, შესაძლოა ვირუსული ინფექციის შედეგი იყოს. მკურნალობას არ მოითხოვს, ოღონდ ნუ დააძალებთ ბავშვს იმის კეთებას, რაც არ შეუძლია. ხელი შეუწყვეთ, რომ დაისვენოს, იყოს მშვიდად, აკეთოს ის, რაც სიამოვნებს. ემოციური პრობლემები ბავშვებს უფრო მეტად აწუხებთ, ვიდრე მოზრდილებს. მათთვის დამახასიათებელია დაღლილობა, აღგზნება, ძილის დარღვევა, შესაძლოა, ბავშვმა უარი თქვას სკოლაში სიარულზე... ზოგიერთ ასაკში ადვილად დაღლა ბუნებრივია. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში აქტიური მოქმედების პერიოდს დათრგუნვილობისა და დაღლილობის პერიოდი ცვლის და პირიქით. ჭარბი ენერგიის მქონე ბავშვებს, ენერგიის დახარჯვის შემდეგ, უდგებათ გარდამავალი პერიოდი, როდესაც მშვიდდებიან და წინა წლებთან შედარებით თითქოს უფრო სწრაფად იღლებიან. სწრაფი დაღლა შესაძლოა გამოწვეული იყოს ანემიით – სისხლში წითელი ბურთულების (ერითროციტების) დაქვეითებით, რომლებსაც ჟანგბადი გადააქვთ. თუმცა ანემია აქტიურობის დაქვეითებით ყოველთვის არ მიმდინარეობს. თუ მას თან ახლავს კანისა და ხილული ლორწოვანი გარსების სიფერმკრთალე, უმადობა, მიმართეთ ექიმს. სისხლის საერთო ანალიზი მდგომარეობას ნათელს მოჰფენს. სწრაფი დაღლის მიზეზი შეიძლება იყოს დუნედ მიმდინარე ინფექცია, რომლის ერთადერთი გამოხატულება ხშირად ზრდის შეფერხებაა. ასე ვლინდება თირკმელებისა და ფილტვების ზოგიერთი დაავადება, მათ შორის – ტუბერკულოზი. დაღლილობის შეგრძნება ზოგიერთი მედიკამენტის გვერდითი ეფექტია, ამიტომ ბავშვისთვის წამლის მიცემა თვითნებურად, ექიმის კონსულტაციის გარეშე, დაუშვებელია.

– დღეს მშობლები და მასწავლებლები ხშირად უჩივიან ბავშვების სწრაფად დაღლას, გონებაგაფანტულობას. რისი ბრალია ეს და როგორ მოვიქცეთ?

– ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება ისეა გადატვირთული სასკოლო თუ სკოლისგარე ცხოვრებით, სწავლით თუ სხვადასხვა წრით, რომ ორგანიზმს აღარ ჰყოფნის დრო დახარჯული ენერგიის აღსადგენად, იფიტება, ვეღარ იღებს ჟანგბადის აუცილებელ ულუფას და იწყება ნეიროდინამიკური დარღვევები. ბავშვს უმნიშვნელო დავალების შესრულებაც კი ღლის და უჭირს ერთ რომელიმე საგანზე კონცენტრირება. ნეიროდინამიკური დარღვევების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი სიმპტომები:

❖ ბავშვს ხშირად რჩება სახლში რვეული, სახელმძღვანელო თუ სხვა ნივთი, სკოლაში მუდამ ავიწყდება საშინაო დავალების ჩაწერა;

❖ მკვეთრად გაუუარესდა ხელწერა;

❖ მის ნაწერებში გახშირდა შეცდომები – გამოტოვებულია სიტყვები, ასოები, წინადადებები დაუსრულებელია;

❖ უჭირს სკოლაში გაკვეთილების ბოლომდე დარჩენა, ბოლო გაკვეთილებს აცდენს, ზოგჯერ, შინიდან გამოსული, სკოლაში საერთოდ არ მიდის;

❖ შინ თუ სკოლაში ხშირად უცვივა ნივთები იატაკზე. ამას განგებ არ სჩადის – ორგანიზმს უჩნდება მოთხოვნილება, ხშირად შეიცვალოს პოზა, რათა ასე მაინც მიაწოდოს ტვინს ჟანგბადი და „გამოაფხიზლოს“;

❖ უჩივის თავისა და მუცლის ტკივილს, ეცვლება სიარულის მანერა – დადის ქანაობით;

❖ აშკარად გამოხატავს აგრესიას ან, პირიქით, დუნდება, ეშვება. არცთუ იშვიათია არამოტივირებული ტირილი ან ისტერიული სიცილი.

– რით აიხსნება ეს ცვლილებები?

– ყველაფერი იმის ბრალია, რომ ტვინი ვეღარ აკონტროლებს აღგზნებისა და მოდუნების პროცესებს. ბავშვს დახმარება სჭირდება. ის აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ სპეციალისტს – პედიატრს, ნევროლოგს, ფსიქოლოგს, შევუქმნათ მეტი კომფორტი, შევუმსუბუქოთ დღის რეჟიმი. ფსიქიკურ დარღვევებთან დაკავშირებული დაავადებები მხოლოდ სიყვარულითა და მზრუნველობით იკურნება – ეს ორგანიზმს თვითგანკურნების მექანიზმების ამოქმედებაში ეხმარება. ამ დროს ბავშვი უნდა გრძნობდეს მშობლებისა და ოჯახის წევრების სიყვარულს, თანადგომას, მზრუნველობასა და სითბოს. დაეხმარეთ დავალებების შესრულებაში, იყავით მომთმენი, დროდადრო დაასვენეთ. ტაქტიანად მიუთითეთ შეცდომებზე, დადებითი განწყობის შესაქმნელად შეაქეთ, მოუწონეთ ნაწერი. იგი შეეცდება, გამოასწოროს შეცდომები, რათა ქება ისევ დაიმსახუროს. შესვენებისას შეგიძლიათ ითამაშოთ, დალიოთ თაფლიანი ჩაი, მიირთვათ თხილი ან კაკალი (საუკეთესო საშუალებაა ენერგიის აღსადგენად!), ერთად აკეთოთ სახალისო ვარჯიშები, საოჯახო საქმეები. არ გირჩევთ ამ დროს ტელევიზორის ყურებას ან კომპიუტერული თამაშებით გართობას. დაიხსომეთ: ტვინს უყვარს სინათლე და ნათელი ფერები, აქტიური თამაშები სუფთა ჰაერზე, ოთახის ხშირი განიავება, საქმიანობის მრავალფეროვნება, ციტრუსებისა და წიწვების არომატი. ტვინს ვნებს თამბაქოს კვამლი. ყოველდღიურ განრიგში შეიტანეთ მატონიზებელი პროცედურები – კონტრასტული შხაპი, კისრისა და ზურგის მასაჟი, მასაჟორ-ხალიჩაზე ფეხშიშველა სიარული. ბავშვი ამ პროცედურებს თანდათან მიაჩვიეთ, თუ წინააღმდეგობას წააწყდით, ნუ დააძალებთ. უმჯობესია, მისცეთ პირადი მაგალითი. ბავშვთან ერთად გააკეთეთ სუნთქვითი ვარჯიშები, დაამსგავსეთ ეს თამაშს, მაგალითად, შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ უფრო შორიდან ჩააქრობს სანთელს ან ვინ უფრო დიდ საპნის ბუშტს გაბერავს. თანდათან შეამჩნევთ, როგორ იცვლება ბავშვი, ეჩვევა წესრიგს, მუშაობას, დავალებს უშეცდომოდ ასრულებს და აღარც ისე სწრაფად დაიღლება.

– დაღლილობის ერთ-ერთი მიზეზია ანემია. როგორ ამოვიცნოთ ის?

– ანემია სისხლის წითელი ბურთულებისა და ჰემოგლობინის ნაკლებობაა, რაც ორგანიზმში ჟანგბადის დეფიციტს იწვევს. განსაკუთრებით მგრძნობიარეა ჟანგბადის ნაკლებობის მიმართ ბავშვის ორგანიზმი. ანემიის მიზეზი შეიძლება იყოს: სისხლის დაკარგვა, რკინის დეფიციტი, რკინის შეწოვის დარღვევა. ანემიას ასევე იწვევს ერითროციტების გამომუშავების დარღვევა, ერითროციტების ფუნქციის დარღვევა და ერითროციტების დაშლა. მშობელმა უნდა იცოდეს, თუ ბავშვი ფერმკრთალია, ადვილად იღლება, უჩივის კუნთების სისუსტეს, თავბრუხვევას – ადვილი შესაძლებელია, ანემია ჰქონდეს. თუ დროულად არ მიმართეთ ექიმს და არ დაიწყეთ მკურნალობა, პროცესი უფრო და უფრო შორს წავა. შორს წასულ პროცესზე მიუთითებს გლუვი და შელესილი ენა, თვალების დაბინდვა და გემოვნების გაუკუღმართება (ბავშვი ეტანება ლითონის საგნებს, პირში იდებს და ლოკავს). დროულად უნდა გაირკვეს ანემიის მიზეზი და აღმოიფხვრას. მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს. დიეტით შესაძლებელია მხოლოდ რკინის მცირე უკმარისობის აღდგენა, ანემიას ამით ვერ ვუშველით. მკურნალობა უნდა დანიშნოს ექიმმა. თვითმკურნალობა დაუშვებელია, რადგან რკინის როგორც ნაკლებობა, ისე სიჭარბე თანაბრად მავნებელია ორგანიზმისთვის. რკინის პრეპარატების ზედოზირება კრუნჩხვას, პირღებინებასა და დიარეას იწვევს.

– რით ვკვებოთ ბავშვი ანემიის დროს?

– სწორი კვებისთვის უნდა ვიცოდეთ სხვადასხვა პროდუქტიდან რკინის შეწოვის მექანიზმი. წითელ ხორცში, ღვიძლსა და კვერცხში შემავალი რკინა ადვილი ასათვისებელია. ეს არის ჰემური რკინა. მცენარეულ საკვებში (პარკოსნებში, წიწიბურაში, ბროწეულში) შემავალ რკინას უფრო ძნელად ითვისებს ორგანიზმი. ეს არაჰემური რკინაა. აქედან გამომდინარე, ანემიით დაავადებული ბავშვების და მათთან ერთად – ყველა მოზარდის მენიუში უნდა შედიოდეს: ხორცი (ძროხისა, კურდღლისა, ინდაურისა – დღე-ღამეში 30 გრამი), ზღვის თევზი, კვერცხი (კვირაში 2 ცალი), კენკრა, ხილი, C ვიტამინით მდიდარი წვენები. C ვიტამინი და ცხოველური ცილა რკინის შეწოვას აუმჯობესებს, ხოლო კალციუმი აფერხებს, ამიტომ რძე და რძის ნაწარმი ბავშვმა ხორცის, თევზისა და კვერცხისგან განცალკევებით უნდა მიიღოს. ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ვაშლი განსაკუთრებით მდიდარია რკინით. ეს აზრი მცდარია –ვაშლში იმდენივე რკინაა, რამდენიც წიწიბურაში. განსხვავება ის არის, რომ ვაშლი შეიცავს C ვიტამინს, რომელიც რკინის შეწოვას აუმჯობესებს. რკინის შემცველობით რეკორდსმენები არიან:

❖ გამომშრალი თეთრი სოკო – 35 მგ რკინა 100 გრამში;

❖ ზღვის კომბოსტო – 16 მგ 100 გრამში;

❖ კაკაოს ფხვნილი – 15 მგ 100 გრამში;

❖ ღვიძლი – 9 მგ 100 გრამში.

ანემია, გარდა რკინის უკმარისობისა, შეიძლება გამოიწვიოს B ჯგუფის ვიტამინების, ფოლიუმის მჟავას დეფიციტმაც, მაგრამ ათიდან 9 შემთხვევაში მიზეზი მაინც რკინის დეფიციტია. სწორი კვების ორგანიზებით, სავსებით შესაძლებელია, თავიდან ავაცილოთ ბავშვს ანემია და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

შემოდგომის დელიკატესები

შემოდგომა ცოცხალი ბოსტნეულის სეზონია. გამოიყენეთ ეს დრო, მოამზადეთ მრავალფეროვანი კერძები, პატარაობიდანვე შეაყვარეთ ბოსტნეულის კერძები შვილებს. გვესაუბრება პედიატრი **მანანა ანდღულაძე:**

– შემოდგომა ბოსტნეულის სეზონია, ამიტომ ცომეული და ბურღულეული ბავშვის რაციონში ცოტა უნდა შევავიწროვოთ და პირველი ადგილი ბოსტნეულს დავუთმოთ. ბოსტნეულით მდიდარი მენიუ ორგანიზმს ვიტამინებით, მინერალებითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით ამარაგებს, გარდა ამისა, აუმჯობესებს პირის ღრუს საღეჭ ფუნქციას, ხელს უწყობს კბილების ამოსვლასა და ფორმირებას.

სტაფილო

სტაფილოს გარეთა შრე მუქი ნარინჯისფერია, გული კი უფრო ბაცი. გარეთა შრე კაროტინის შემცველობით ფასობს - ამ ნივთიერებისგან ორგანიზმში A ვიტამინი გამომუშავდება. კაროტინი აუცილებელია მხედველობისა და კანისთვის, აგრეთვე – სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტის გასაძლიერებლად. გულში შედარებით ნაკლები კაროტინია, მაგრამ ბევრია პიგმენტი აპიგენინი, რომელიც გულის კუნთს ამაგრებს და დაღლილობის მოხსნაში ეხმარება. ბეტა-კაროტინის შემცველობით სტაფილოს ბადალი არ ჰყავს. 20 გრამი სავსებით აკმაყოფილებს ამ ნივთიერებაზე სკოლამდელი ასაკის ბავშვის დღიურ მოთხოვნილებას. გარდა კაროტინისა, სტაფილო შეიცავს ვიტამინებს – B2-სა და PP-ს, რომლებიც კანისთვის, სისხლძარღვებისა და ტვინის მუშაობისთვისაა აუცილებელი, ასევე – კალიუმს, მაგნიუმსა და რკინას. C ვიტამინი სტაფილოში ცოტაა – 5 მგ 100 გრამში, ბავშვს კი დღე-ღამეში არანაკლებ 90 მგ სჭირდება. თავისი შემადგენლობის წყალობით სტაფილო ზრდის სასუნთქი სისტემის ინფექციებისადმი ორგანიზმის შეუვალობას. სტაფილოსგან შეგიძლიათ მოამზადოთ ასეთი სალათა: ერთმანეთში აურიოთ გახეხილი უმი სტაფილო, წითელი ბულგარული წიწაკა, ზემოდან მოაყაროთ წვრილად დაჭრილი კამა და მოასხათ 1 ცალი ფორთოხლის წვენი.

გოგრა

გოგრის მთავარი სიმდიდრეა კაროტინი, რომელიც მის რბილობს ყვითელ ან ნარინჯისფერ შეფერილობას აძლევს. გოგრა, განსაკუთრებით სამხრეთული წარმოშობისა, მდიდარია ვიტამინებით, ფოლიუმის მჟავით, რომელიც მონაწილეობს წითელი სისხლის წარმოქმნაში და მეტად მნიშვნელოვანია ორსული და მეძუძური დედებისა და მათი შვილებისთვის და ვიტამინ B12-ით, რომელიც მეხსიერებასა და ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. გოგრაში ბევრია პექტინი, რომელიც აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ნივთიერებათა ცვლის მავნე პროდუქტების გამოდევნას. ცალკე საუბრის თემაა გოგრის თესლების სამკურნალო თვისებები. მოზრდილი ბავშვები მზესუმზირასავით მიირთმევენ მას, ხოლო პატარებს შეიძლება დაქუცმაცებული დავუმატოთ ფაფაში ან სუპში. გოგრის თესლი შეიცავს E და B ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც ხელს უწყობს აღდგენით პროცესებს, ასტიმულირებს იმუნურ რეაქციებს. გოგრის თესლს ანტიჰელმინთურ საშუალებადაც იყენებენ. გთავაზობთ გოგრის დესერტის რეცეპტს. საჭიროა:

ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

❖ 300 გ გოგრა;
❖ 1 კვერცხი;
❖ 3 სადილის კოვზი გატარებული თხილი ან ნუში;
❖ 2 სადილის კოვზი შაქარი;
❖ 1 ჩაის კოვზი დაფქული ორცხობილა;1/2 ჩაის კოვზი დარიჩინი;
❖ 50 გ ნაღების კარაქი;
❖ შაქრის პუდრი.

პატარა ნაჭრებად დაჭრილი გოგრა მოხარშეთ წყალში. როცა დარბილდება, ამოიღეთ და დაჭყლიტეთ ან დააბლენდერეთ. პიურეს დაუმატეთ კვერცხის გული, თხილი, ორცხობილა, დარიჩინი, კარაქი, შაქარი, გააკეთეთ პატარა ბურთები, დააწყვეთ ლანგარზე და მოაყარეთ შაქრის პუდრი.

ᲑᲝᲚᲝᲙᲘ

ბოლოკი ხელწამოსაკრავი ბოსტნეული არ არის. ვიტამინებისა და მინერალური მარილების შემცველობით კარტოფილსაც კი ჯაბნის, თანაც მას უმად, თერმული დამუშავების გარეშე მივირთმევთ, ასე რომ, დანაკარგისგან დაზღვეულები ვართ. 100 გ ბოლოკში 20 მგ C ვიტამინია – გაცილებით მეტი, ვიდრე მწვანე სალათის ფურცლებში. ასევე მაღალია მასში B ჯგუფისა და PP ვიტამინების შემცველობაც. ასე რომ, მიაჩვიეთ პატარა ბოლოკის ჭამას. დაუჭერით პატარ-პატარა კუბიკებად და კიტრთან, სალათის ფურცლებთან, მწვანე ხახვთან ერთად ზეთითა და ლიმონის წვენით შეუზავეთ.

ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ

ტრადიციულ თეთრ კომბოსტოსთან ერთად, ბოლო ხანს, ჩვენში პოპულარული გახდა კომბოსტოს სხვა სახეობებიც: ყვავილოვანი, ბრიუსელის, ბროკოლი... რომელია ბავშვისთვის ყველაზე სასარგებლო? ყვავილოვან კომბოსტოს ნაზი კონსისტენცია და გემო აქვს, რაც საშუალებას გვაძლევს, ფართოდ გამოვიყენოთ ბავშვის მენიუში. C ვიტამინი ყვავილოვან კომბოსტოში თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე სხვა სახეობებში. თითქმის ორჯერ მეტია PP ვიტამინი, B ჯგუფის ვიტამინები, ცილები. უხვად არის მინერალური ნივთიერებებიც – კალიუმი, მაგნიუმი, რკინა. გარდა ამისა, ყვავილოვანი კომბოსტო შეიცავს ნივთიერება კვერცეტინს, რომელიც ავთვისებიანი წარმონაქმნების განვითარებას უშლის ხელს. ყვავილოვანი კომბოსტოს კერძი ისე უნდა მოვამზადოთ, რომ ბიოლოგიურად სასარგებლო ნივთიერებები შევინარჩუნოთ – არ უნდა მოვხარშოთ, არამედ მოვშუშოთ. ძალიან დიდია ბრიუსელის კომბოსტოს ბიოლოგიური ღირებულება, ვიტამინების რაოდენობით კომბოსტოს ყველა სხვა სახეობას აჭარბებს. C ვიტამინის შემცველობით მხოლოდ შავ მოცხარს ჩამოუვარდება. საკმარისია დღეში 80 გ ბრიუსელის კომბოსტო, რომ ამ ვიტამინზე სკოლამდელი ასაკის ბავშვის დღიური მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ. ბეტა-კაროტინი ბრიუსელის კომბოსტოში 15-ჯერ (!) მეტია, ვიდრე თეთრთავასა და ყვავილოვანში. გარდა ამისა, იგი მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებითა და მიკროელემენტებით. ბრიუსელის კომბოსტოს გემოსა და არომატს აძლევს ქიმიური ნაერთი ინდოლი. იგი კვარცეტინთან, C და E ვიტამინებთან ერთად ანეიტრალებს ორგანიზმზე კანცეროგენული ნივთიერებების ზემოქმედებას. ბრიუსელის კომბოსტო იმდენად ფასეული პროდუქტია, რომ მისი სულ მცირე ულუფაც კი ბოსტნეულის წვნიანს დიდ კვებით ღირებულებას მატებს. გთავაზობთ კიდევ ერთი სასარგებლო და გემრიელი კერძის რეცეპტს. საჭიროა:

❖ საშუალო ზომის ყვავილოვანი კომბოსტო;
❖ მოხალული დაფქული ორცხობილა;
❖ 2 სადილის კოვზი ნაღების კარაქი;
❖ 30 გ გახეხილი ჰოლანდიური ყველი ან სულგუნი;
❖ ორცხობილას სოუსი.

ყვავილოვანი კომბოსტო დაშალეთ პატარა კუნწულებად და მარილწყალში მოხარშეთ. სანამ ჩაიშლება, გადაიღეთ თუშფალანგზე და გაწურეთ. შემდეგ დაყარეთ ტაფაზე, მოაყარეთ გახეხილი ყველი და ორცხობილა, მოასხით გამდნარი კარაქი და ორცხობილას სოუსი, შედგით გახურებულ ღუმელში და გააჩერეთ, სანამ დაბრაწული ქერქი არ გაუჩნდება. ორცხობილას სოუსი მზადდება ასე: გაადნეთ 100 გ კარაქი, დაუმატეთ მოხალული ორცხობილა, ლიმონის წვენი, მარილი და განუწყვეტლივ ურიეთ.

ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ

ჭარხლის ბოლქვები მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს, არომატსა და ფერს. უმი ჭარხლის მოყვარული ცოტაა. მოხარშული უფრო რბილიცაა და არომატულიც, რაც მთავარია, თითქმის არ კარგავს ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს, ხოლო მისი უხეში უჯრედისი თერმული დამუშავების შემდეგ ნაზ და სამკურნალო პექტინად იქცევა. ჭარხალი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერება ბეტაინს. ის ხელს უწყობს საკვებიდან ცილების ათვისებას, რაც ბავშვის ორგანიზმისთვის განსაკუთრებით ფასეულია. ბეტაინით მდიდარია როგორც ჭარხლის ფესვები, ასევე ფოთლები, ამასთან, თერმული დამუშავების დროს იგი არ იშლება. ასე რომ, ჭარხლის წვენს სვამს პატარა, ვინეგრეტს მიირთმევს თუ ბორშჩს, ბეტაინს იგი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს. გთავაზობთ ძალიან სასარგებლო ჭარხლის კერძის რეცეპტს. საჭიროა:

❖ 2 საშუალო ზომის ჭარხალი;
❖ 1 კვერცხი;
❖ 1 სადილის კოვზი მანანის ბურღული;
❖ 2 სადილის კოვზი დაფქული ორცხობილა;
❖ მარილი გემოვნებით.

კარგად მოხარშული ჭარხალი გახეხეთ წვრილად, დაუმატეთ მარილი, მანანის ბურღული, კვერცხი. მიღებული მასისგან გააკეთეთ პატარა ბურთულები, ამოავლეთ ორცხობილაში და შეწვით ტაფაზე.

საიტიდან www.mkurnali.ge

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

2 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ **„საქართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია“** დაამტკიცა. სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულებაა, დანაშაულის პრევენციის მიზნით, დანაშაულის საფრთხეების შესახებ მოზარდების სამართლებრივი ინფორმირება.

მოსწავლეების სამართლებრივი და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, მათ მიერ სამართლებრივი ვალდებულებისა და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების სწორად გააზრებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, აშშ-ს მთავრობის დაფინანსებით, „სამართლებრივი კულტურის“ სწავლება, 2008 წლიდან, მე-9 კლასში, სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში, ხორციელდება. ამ მიზნით, გადამზადდნენ როგორც მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სამართალდამცველები. გაკვეთილებს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი კონსულტანტ სამართალდამცველთან ერთად ატარებს და მოსწავლეებს მათთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტურ პასუხებს სცემს.

პროექტის მეორე ნაწილი, 2010 წლიდან, მე-7 კლასში, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება და „სამართლებრივი კულტურის საწყისების“ 14-საათიან კურსს მოიცავს. კლასის დამრიგებელი გაკვეთილს მანდატურთან ერთად ატარებს. ამ მიზნით, პირველ ეტაპზე 10 სკოლის მანდატური სპეციალურად გადამზადდა და კურსის პილოტერება განხორციელდა. წელს ყველა იმ საჯარო სკოლაში, სადაც მანდატურები იმყოფებიან, გაკვეთილს დამრიგებელი მანდატურთან ერთად ჩაატარებს.

„სამართლებრივი კულტურის“ საგნის სწავლება მოიცავს ინტერაქტიულ გაკვეთილებს, სადაც განიხილება ის რეალური მაგალითები, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში სამართალდამცველები არასწრულწლოვნებთან მიმართებაში აწყდებოდნენ. კურსი მოიცავს ასევე ექსკურსიებს სამართალდამცველ სტრუქტურებში, რათა მოზარდებს წარმოდგენა ჰქონდეთ, რა საქმიანობას ეწევიან დანაშაულის გამოვლენის კუთხით.

VII-IX კლასების მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის სასწავლო რესურსი – მოსწავლის სახელმძღვანელო და მასწავლებლის მეთოდური წიგნი უკვე ხელმისაწვდომია. სახელმძღვანელოები აიტვირთება ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე და ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ნებისმიერი სკოლის მასწავლებლისთვისა და მოსწავლისთვის.

წიგნის თარო

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ.

ᲬᲘᲒᲜᲘ I – ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ;
ᲬᲘᲒᲜᲘ II – „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“;
ᲬᲘᲒᲜᲘ III – XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲔᲚᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ – 10 ᲚᲐᲠᲘ

♦ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-�პᲐᲡᲣᲮᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝᲓ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ;

♦ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲐᲓᲕᲘᲚᲓᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲝ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲛᲘ�წᲔᲕᲜᲘᲗ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ-ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ;

♦ ᲡᲬᲝᲠᲘ �პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ;

♦ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲗ ᲓᲐᲫᲚᲘᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ.

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

სპორტი

ქართველ სამბისტთა წარმატება სალონიკში

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

საქართველოში ქალთა ჭიდაობა თანდათან იბრუნებს ძველ სიმაღლეებს – თავისუფალ ჭიდაობაში გორელი **გვანცა კარელიძე** ანკარის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა, დედოფლისწყაროელი **მარიამ ჯანაშვილი** 16-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი, თელაველი **მზია ბებოშვილი** – იმავე ტურნირის მესამე პრიზიორი, ახლა კი მათ რიგებს სამბისტებიც მიემატნენ – ლაგოდეხელი **ელენე ქებაძე** (+80) ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, გორელები – **ნინო მარტიაშვილი** (60) და **თეა სუხიტაშვილი** (68) კი მესამეზე გავიდნენ.

სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს, 11-13 ოქტომბერს, ბერძნულმა სალონიკმა უმასპინძლა და იქ ჩვენი დელეგაცია დიდი წარმატებით გამოვიდა – ჯამში 18 მედალი მოიპოვა, 3 ოქრო, 5 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. აქედან ახალგაზრდა ბიჭების გუნდის მონაგარი 7 ჯილდოა – 1 ოქრო და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო, ჭაბუკთა ასაკის ბიჭებმა 10-დან 8 მედალი ირგუნეს – 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო, გოგონებმა კი ზემოხსენებული 3 ჯილდო დაინადავლეს.

სალონიკში გოგონების გუნდი იმ პირველი თაობით იყო დაკომპლექტებული, მეორედ რომ წამოიკიდეს საქართველოში ქალთა ძიუდოს აღორძინების ტვირთი, მაგრამ ბოლო წლებში დაუფინანსებლობის, უყურადღებობის გამო (რაც ძირითადად მწვრთნელის – **გოდერძი ველიჯანაშვილის** ძიუდოდან ჩამოშორებას უკავშირდებოდა) ლამის ჩამოშორდნენ სპორტს. ახლა ისევ დაბრუნდნენ და ძიუდოს გვერდით ბედი სამბოშიც სცადეს, არცთუ ურიგოდ.

გიორგეთელი ელენე ქებაძე ძიუდოში უკვე საკმაოდ გამოცდილია – არის ანთალიის, ბაქოს, კიევის ტურნირების გამარჯვებული თუ მედალოსანი, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავის ყველაზე დიდ წარმატებას სამბოში მიაღწია. ოღონდ რაკიღა სპორტს დაუბრუნდა, ეჭვიც არ გვეპარება, მისი ნიჭისა და ბუნებრივი მონაცემების პატრონი კვალავაც არაერთხელ გაგვახარებს წარმატებებით.

ქებაძემ პირველ წრეში ნაცნობი მეტოქე – სერბი **მილიცა ზაბიჩი** დაამარცხა. ამ გოგოს მან პირველად რამდენიმე წლის წინ ანთალიაში, ძიუდოისტთა ევროპის ახალგაზრდული თასის ფინალში მოუგო. მაშინ სერბმა თურმე ცოტა არასერიოზულად შეაფასა ჩვენებური. ტატამზე რომ გავედით, მეტოქემ რაღაც ირონიულად გადმომხედაო, გაიხსენა იმ შეხვედრის შემდეგ ქებაძემ. არ ვიცით, მაშინდელი სარკაზმი დღემდე ასე მწარედ რატომ დაამახსოვრდა ჩვენებურს, მაგრამ ფაქტია, რომ ახლაც ისევე დამაჯერებლად მოუგო, როგორც – მაშინ. ზაბიჩის შემდეგ ქებაძემ რუს **ანასტასია ტრაპეზნიკოვასაც** აჯობა, ფინალში კი ბულგარელი **სიან ხრისტოვა** დაამარცხა და ოქროსაც დაეუფლა.

თავიდან მარტიაშვილმაც სერბი დაამარცხა – **სტეფანა ვოინოვიჩი**, მაგრამ მერე მომავალ ფინალისტთან, რუმინელ **ანა-მარია ციობანუსთან** წააგო, დამამშვიდებელში კი ლიტველ **მედა ბლაზაიტიტესთან** იყოჩაღა და ბრინჯაოც მოიპოვა. სუხიტაშვილიც მეორე შეხვედრაში დამარცხდა – უკრაინელ **იანა გრეცკოვასთან** მოგების შემდეგ რუსთა მომავალ ჩემპიონ **ოლგა კრიუკოვასთან** წააგო, ხოლო დამამშვიდებლის ფინალში რუმინელ **ადინა დუმიტრესკუს** მოუგო.

ახალგაზრდა ბიჭებიდან ყველაზე უკეთ **უშანგი მარგიანმა** (82) იასპარეზა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. მას მხარი კარგად აუბეს ზედა სამი უმძიმესი წონის ფალავნებმაც, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლომდე ასე კარგად ვეღარ მიჰყვნენ და ფინალური შეხვედრები დათმეს – **თემურ ხაჩიძე** (90), **თორნიკე ოთინაშვილი** (100) და **გუგა კიბორძალიძე** (+100) ვერცხლს დასჯერდნენ, ბრინჯაოს მედლები კი **გიორგი მელქუაშვილმა** (48), **თორნიკე მუზაშვილმა** (57) და **მიხეილ მეზურნიშვილმა** (74) მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ მარგიანმა წლეულს სამბოში დუბლი შეასრულა – აპრილში კვიპროსში ევროპის ჩემპიონიც გახდა, სალონიკში კი მეორე წრეში ქართველს გადაეყარა – საბერძნეთის სახელით მოჭიდავე **ივანე გომართელს**. თუმცა დიდი წინააღმდეგობა ვერც მან გაუწია, ვერც ნახევარფინალში – ყაზახმა **იერასილ კაირბეკმა** და ფინალში – მოლდოველმა **გენადი ფრეტივატმა**. ისიც სათქმელია, რომ მარგიანმა ერთი თვის წინ ახალგაზრდულ ევროპის პირველობაზე ძიუდოშიც იჭიდავა, თუმცა უმედლოდ დარჩა.

მეზურნიშვილიც ევროპის წლევანდელი გამარჯვებულია და ახლაც ახლოს იყო მიზანთან – ნახევარფინალში გავიდა, თუმცა იქ ბულგარელთა მომავალ ჩემპიონ **აშოტ მარტიროსიანთან** დამარცხდა. სამაგიეროდ, ბრინჯაო აღარ დაუთმო არავის. ამ გუნდის ახლანდელ მედალოსანთაგან ევროპაზე მედლები სხვებმაც მოიპოვეს – ოთინაშვილი იქ მესამე იყო ანუ ამჯერად ერთი საფეხურით წინ წაიწია, კიბორძალიძემ კი მაშინაც ვერცხლი მოიპოვა.

ჭაბუკებიდან ჩემპიონი **გიორგი მეტრეველი** (60) გახდა, მეორეზე **ირაკლი კუპატაძე** (52) და **აპოლონ ზურაბიანი** (75) გავიდნენ, ბრინჯაოს კი **თორნიკე ჭოველიძე** (65), **გიგა ნოზაძე** (70), **ირაკლი გოგია** (81), **ჯონი ჭითანავა** (87) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+87) დასჯერდნენ. ამათგან ჭოველიძე ევროპის წლევანდელი ჩემპიონია, ნოზაძე, ზურაბიანი, გოგია და ჭითანავა კი მესამეზე გავიდნენ. ჭოველიძე ახლაც ახლოს იყო ევროპული შედეგის გამეორებამდე, მაგრამ ნახევარფინალში თურქმენთა მომავალ ჩემპიონ **იუსუპ მურატ ატამურადოვთან** დამარცხდა. ცოტა მეტს ველოდით ლაზუაშვილისგანაც, რომელიც ძიუდოში ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონია.

განვითარება ბავშვთა სპორტიდან იწყება

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ერთ-ერთია იმ სპორტულ ფედერაციებს შორის, რომელიც სახეობის განვითარებას არა მაღალი მიღწევების, არამედ ბავშვთა სპორტიდან იწყებს. თავადაც უამრავი პრობლემის წინაშე მდგარმა ფედერაციამ ნელა და მძიმედ, მაგრამ თანდათან მაინც ააწყო მუშაობა და ხელბურთი შეიტანა რეგიონებში, საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დახვეწა და მართლაც ეროვნულ პირველობას დაამსგავსა ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი, თუმცა ამაზე არ შეჩერდა და ეროვნულს ასაკობრივი პირველობებიც დაუმატა. ბოლო წლებში კიდევ ერთი საზრუნავი გამოუჩნდა – თბილისში 2015 წელს გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომლის პროგრამაში ხელბურთიცაა შეტანილი – გოგოებისაც და ბიჭებისაც. საჭირო გახდა ამ ასაკის ნაკრებთა ჩამოყალიბება და ცალკე ჩემპიონატის გამართვა. ანუ, მედალს მეორე მხარეც აქვს და ამან მასობრიობაც მოიტანა – გაიზარდა როგორც კლუბების, ასევე მოვარჯიშეთა რაოდენობა. შეიძლება, მასობრიობა ისე მასშტაბურად არ გაზრდილა, რომ სერიოზულ ძვრებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ამ ბავშვების უმეტესობა უფროსებში ისე გაითქვიფებოდა, დიდ სპორტს ვერც ითამაშებდა.

ეს ეგრეთ წოდებული საფესტივალო ასაკი –1998-99 წლებში დაბადებულთა პირველობა ფედერაციამ სამ ჯგუფად – დასავლეთის, აღმოსავლეთისა და თბილისის ტურნირებად დაჰყო. მით უფრო, ამის საშუალებას გუნდების რაოდენობაც აძლევდა, ასეთი დიფერენცირების საჭიროება კი იმან წარმოშვა, რომ საქმე მაინც ბავშვებს ეხება და ქვეყნის ერთი კიდიდან მეორეში მოგზაურობა მათთვის ძალიან ძნელი იქნებოდა. თან, ასე დაყოფით მათ ფინანსური დანახარჯიც შეუმცირდებათ, თორემ არათუ ამ ასაკში, უფროსებშიც კი ხშირად იშლება ხოლმე თამაშები ამ მიზეზით.

უკვე დასრულდა I წრე თბილისის ჯგუფში მოასპარეზე ბიჭებში, სადაც 5 დედაქალაქურ კლუბს – „ქარიშხალა“, „პეგასი“, „მამული“, „იმედი“ და „შევარდენი“ – ქარელის გუნდიც დაემატა. ეს ტური წაუგებლად ჩაატარეს „ქარიშხალამ“ და „პეგასმა“, რომლებმაც ერთმანეთში ფრედ ითამაშეს – 29:29 და ტურნირი 9-9 ქულით დაასრულეს. „მამულმა“ 6, „იმედმა“ – 4, „ქარიშხალამ“ 2 ქულა დააგროვა, ქარელელებმა კი ყველა შეხვედრა წააგეს.

აღმოსავლეთის თამაშებს წინა კვირას თელავმა უმასპინძლა და ტურიც შაბათს, 12 ოქტომბერს, მასპინძლებისა და ყვარლელების პრინციპული შეხვედრით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს თამაში გადაიდო. არადა, ეს გუნდები წაუგებლად, 8-8 ქულით ლიდერობდნენ. ამდენივე ქულა აქვს გორსაც, შემდეგ კი მოდიან რუსთავი, გურჯაანის სოფელ ახაშენის „ვაზი“ და ლაგოდეხი.

დასავლეთის ზონის თამაშები 15 ოქტომბერს სენაკში დაიწყო. იქ ქუთაისი, ფოთი, სამტრედია, წყალტუბო, ბათუმი და ზუგდიდი თამაშობენ.

ამავე ასაკის გოგოებში აღმოსავლეთის ზონას „მამული“ და ყვარელი ლიდერობენ 7-7 ქულით. მათ კვალში „პეგასი“ უდგას 4-ით, რომელსაც 2-ით ჩამორჩება „იმედი“, „ქარიშხალამ“ კი ყველა თამაში წააგო. დასავლეთში ჯერ მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა – ფოთმა წყალტუბოს მოუგო, ბათუმსა და ზუგდიდს კი ჯერ არ უთამაშიათ. გოგოებში საერთო ტური 1-6 ნოემბერს თბილისში ჩატარდება.

წიგნის თვრო მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. ხილ-ბოსტნეული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ძვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა** (ახალი)
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში** (ახალი)
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება** (ახალი)
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



სკოლის დირექტორობის მაძიებელთა საყურადღებოდ!

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

წიგნის ღირებულება - 46 ლარი
ტრენინგის ღირებულება წიგნიანად - 180 ლარი
ტრენინგის ხანგრძლივობა - 2 დღე

შპს „გლისადა", საკონტაქტო ტელეფონები:
555 12 24 36; 577337444

„დიოგენე"



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

თამაზ ვასაძე

9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი"

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა"
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >